89 წელი თქვენთან ერთად!

89 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი.

გამოცემის საიუბილეო, 90-ე წელი!



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“

ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №22 (7075) 18 ნოემბერი 2022 წელი ● Facebook გაზეთი თერჯოლა

„ვიმუშაოთ გუნდურად, შესაძლებლობის მაქსიმუმის ზღვარზე, გავითავისოთ პრობლემები, ყველამ აიღოს თავისი წილი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე, ვიყოთ ხალხთან ერთად“...

ლაშა გოგიაშვილი

ნაადრევად შეწყვეტილი სიცოცხლე...

მიმდინარე, 2022 წლის 8 ოქტომბერს, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი ლაშა გოგიაშვილი. მას სულ რაღაც ორ წელიწადნახევარი მოუხდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის აღმასრულებელი რგოლის—მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობა. იგი ორჯერ იყო მუნიციპალიტეტის არჩეული მერი—ერთჯერ რიგგარეშე არჩევნებზე და ერთჯერ ადგილობრივი თვითმმართველობის 2021 წლის არჩევნებზე. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ამ მოკლე დროის მანძილზე მან ბევრის გაკეთება შეძლო თერჯოლისა და თერჯოლელებისათვის, რის გამოც, როგორც ხელმძღვანელმა მან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მუნიციპალიტეტის მმართველობის ისტორიაში.

ლაშა გოგიაშვილს 3 ნოემბერს 43 წელი შეუსრულდა... ახლახანს კი 40 დღე შესრულდა მისი გარდაცვალებიდან. კარგია, რომ ლაშა გოგიაშვილის სახელის უკვდასაყოფად თერჯოლის მუნიციპალიტეტში უკვე გაიმართა მისი სახელობის ტურნირი მინი ფეხბურთში, რომელიც ტრადიციული გახდება და ყოველწლიურად შემოდგომაზე გაიმართება...

გულსატკენი და ძალზე სამწუხაროა, რომ ჩვენს ქვეყანაზე, თერჯოლასა და თერჯოლელებზე უსაზღვროდ შეყვარებულმა, ენერგიით სავსე ამ ახალგაზრდა კაცმა ასე ნაადრევად დაამთავრა სიცოცხლე. კიდევ ერთხელ ვიზიარებთ მისი ოჯახის და ახლობლების მწუხარებას ბატონი ლაშას გარდაცვალების გამო... იგი დააკლდა არა მარტო მათ, არამედ მშობლიურ რაიონს, სრულიად საქართველოს... მას ჯერ კიდევ ბევრი რამ შეეძლო გაეკეთებინა ხალხისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის სასიკეთოდ...

P.S. გაზეთმა „თერჯოლამ“, მუნიციპალიტეტის მერის, ლაშა გოგიაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მომზადა და გამოსცა 2022 წლის 22 ოქტომბრის გაზეთ „თერჯოლის“ ოთხგვერდიანი სპეციალური ჩანართი, სადაც საზოგადოება კიდევ ერთხელ კარგად შეიგრძნობს ამ ახალგაზრდა ხელმძღვანელის ფიქრებს და ოცნებებს, თერჯოლისა და თერჯოლელებისადმი სიყვარულს, საქმის კეთების დაუცხრომელ სურვილებს და მისი თანაგუნდელების მზადყოფნას დაწყებული საქმეების ბოლომდე მისაყვანად...

გაზეთი „თერჯოლა“

უშენოდ მოვიდა 3 ნოემბერი, შენი დაბადების დღე, რომელსაც ზეიმით აღვნიშნავდით შენიანები—ოჯახის წევრები, ახლობლები, მეგობრები, თანამოაზრენი. ავბედითმა შემთხვევამ წაგვართვა შენი თავი ჩვენო გაუნელებელო სევდავ და ტკივილო. მეხის გავარდნად აღიქვეს შენი სიკვდილი არა მარტო შენს ოჯახსა და სანათესაოში, არამედ რაიონსა და ქვეყანაში. დიდი გულისტკივილით გიხსენებდნენ თანამებრძოლები, რესპუბლიკის ხელმძღვანელები, მეგობრები. გულისშემძვრელი იყო ფეისბუქზე გამოქვეყნებული მათი ნააზრევი. შენ მარტო შენ ცოლშვილს და ოჯახს კი არ დააკლდი, არამედ მთელ ქვეყანას. ირაკლი ღარიბაშვილის აზრით როგორც „ახალგაზრდა თავისი ქვეყნის პატრიოტი სახელმწიფო მოღვაწე“.

რატომ ინება განგებამ წაერთმია ჩვენთვის შენი ლამაზი სიცოცხლე. ცხოვრებაში ვერ წარმოვიდგენდი, თუ რამის გადატანა ასე გამიჭირდებოდა—წერს შენი მეგობარი მამუკა მდინარაძე. ჰოდა მამუკას, რომ ასე უმძიმს ჩვენს, შენს ცოლშვილს, მამას, ძმებს, მამიდებს, ნათესავებს რა გადაგვატანინებს ამ სევდას. დრო მკურნალიაო ამბობენ, მაგრამ რა დრო დაგვავიწყებს შენს თავს, შენს ღიმილს, შენს მოფერებას, შენს ტკბილ ჰანგებს. იმედად ის დაგვრჩენია, რომ ლამაზი შვილები გეზრდება შენი არდავიწყების სიმბოლოდ.

უფალმა ნათელში გვიმყოფოს შენი კეთილშობილი სული ჩვენო ლაშა...

ოჯახი, ნათესავები, მეგობრები, თანამოაზრეები და თანამოსაქმეები

წუთიერი დუმილით და დაწყებული საქმეების ბოლომდე მიყვანის მოთხოვნით...

ჩვენი გაზეთის ამ ნომრის გამოსვლამდე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა, მანუჩარ რობაქიძემ, მერის მოადგილე მირზა ქოჩიაშვილთან ერთად ორი მორიგი სამუშაო თათბირი გამართა. აქედან, 7 ნოემბრის შეხვედრა პიველი იყო მას შემდეგ, რაც მუნიციპალიტეტის მოქმედი მერი ლაშა გოგიაშვილი გარდაიცვალა.

სამუშაო შეხვედრას მერიის სამსახურებისა და განყოფილებების უფროსები, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები და ა(ა)იპის ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

თათბირზე წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის, ლაშა გოგიაშვილის ხსოვნას.

„ბოლო წლების განმავლობაში, რაც ჩვენ ბატონი ლაშა გოგიაშვილის ხელმძღვანელობით ვიმუშავეთ, ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან, სხვადასხვა ფონდებიდან და პროგრამებიდან ერთობლივად შევძელით იმ მნიშვნელოვანი რესურსის მობილიზება, რაც გადაუდებლად საჭირო იყო მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი გუნდი ერთად დაწყებულ ყველა საქმეს, სამომავლოდ დასახულ გეგმებს აუცილებლად შეასრულებს და თერჯოლას განვითარების ახალ ეტაპზე გაიყვანს. ამასთან, მინდა აღვნიშნო ის დიდი მხარდაჭერა, რომელსაც საქართველოს მთავრობის , ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციიდან ვგრძნობთ“—განაცხადა მანუჩარ რობაქიძემ.

თათბირზე იმსჯელეს თითოეული სოფლის პრობლემებსა და გამოწვევებზე, მომავალში განსახორციელებელ აქტივობებზე. დაწვრილებით განიხილეს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დასრულებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთა რაოდენობა მიმდინარე წელს 100-მდეა.

☞2

ლაშა გოგიაშვილის სახელობისა...

☞3

მურმან ლებანიძე—100



არიან კაცნი—
მცხოვრებნი წარსულით,
არიან კაცნი—
მცხოვრები აწმყოთი,
მომავლის ოცნებით
მე ვიყავ ჯვარცმული,
კოშკებს მომავლისას
ვშლიდი და ვაწყობდი...

დაწვრილებით
მომავალ ნომერში

23 ნოემბერი გიორგობაა...

თერჯოლა

ნაადრევად შეწყვეტილი სიცოცხლე...

„სიკვდილო კარგის მოკვლისთვის, ნეტა ვინ გეტყვის ქებასა“...

დაბადების დღეს გილოცავთ იმიერში ჩვენო ლაშა...

ის ავადმოსაგონარი ტრაგიკული შემთხვევა რომ არა, 43 წლის იუბილეს იზეიმებდი... მოულოდნელი იყო ეს დიდი ტკივილი...

ყველას ენანება შენი უდროოდ შეწყვეტილი ცხოვრება. გიყვარდა სიცოცხლე, შენი მშობლიური თერჯოლა... შენი წასვლით თითქოს გაუფერულდა ირგვლივ ყველაფერი...

უფალმა დაგანათლა ხალხის სიყვარული, მაგრამ, სამწუხაროდ, განგებამ ჯერაც ახალგაზრდას და ამქვეყნიური არსებობის ყველაზე დიდი სამკაულის მესაკუთრეს, მარადიული საცხოვრებელი ნაადრევად მიგიჩინა ანგელოზების ფრთებქვეშ.

ამ მცირე დროში შეძელი კეთილშობილი პიროვნების სახელი დაგეტოვებინა. შენი ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით შესამჩნევად გაუმჯობესდა რაიონის ინფრასტრუქტურა...

გიხაროდა და ჩვენც შევხაროდით ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობას, რომელსაც საფუძველი შენ ჩაუყარე. გინდოდა შენი პატარა ჩვენთან, შენივე მშობლიურ ბაღში გაგეზარდა ისე, როგორც ორი შვილის სწავლა-განათლება მშობლიურ №2 საჯარო სკოლას ანდე.

ნათელი ადგეს მუდამ შენს საფლავს, ჩვენო ლაშა...

ქალაქ თერჯოლის №3 საბავშვო ბაგა-ბაღი

„ანბანელები“—ანუ მზადება პირველკლასელობისათვის

...ძირეული გარდაქმნები განათლების სისტემაში გარკვეულ ამოცანებს უსახავს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს. თერჯოლის №3 ბაგა-ბაღში (დირექტორი ლალი ქარქაშაძე) სიფრთხილით სარგებლობენ სწავლების ყოველი ახალი მიმართულებით, იყენებენ სწავლების ორგანიზაციის ახალ ფორმებს, მაგრამ ხელუხლებლად ტოვებენ ღირებულს, ტრადიციულ მეთოდებზე აგებულ საგანმანათლებლო მუშაობის მეთოდებს. აქ ბავშვთა ცხოვრება შევ-

სებულია მეცადინეობით, თამაშით, შრომით საქმიანობით, სხვა მომენტებით. ყველა ფორმა ბავშვთა აღზრდა-განვითარებას ემსახურება, აღსაზრდელები აქ იძენენ ცოდნას, იმდიდრებენ ერთმანეთთან ურთიერთობის გამოცდილებას.

განსაკუთრებული დატვირთვით მუშაობენ მზაობის ჯგუფის აღსაზრდელები, ისინი ხომ მომავალი პირველკლასელები არიან, მალე დედა-ენით ხელში მიუსხდებიან მერხებს და დამარცვლით, თითის გაყოლებით წაიკითხავენ განუმეორებელ დედაენას, აი-იას და სხვა პირველ მარტივ სიტყვებსა და წინადადებებს.

№3 ბაგა-ბაღის მზაობის ჯგუფში ახლახან საინტერესო პროექტი განხორციელდა, რაც ხელს შეუწყობს „ანბანელებს“ სწავლების უფრო მაღალ საფეხურზე შესასწავლი მასალების ათვისებაში. აქტივობები, გამოფენები, მუსიკალური ორკესტრები, მშობელთა ჩართულობა სასკოლო პროგრამების ჯგუფის საქმიანობაში—ამ ნიშნით წარიმართა ემოციებით დატვირთული ერთი დღე. მთელი დღის განმავლობაში პატარები შემოქმედებით პროცესში იყვნენ: ხატვა, ძერწვა, მათემატიკა, ბავშვებმა მიიღეს სწავლების პროცესისაგან სიამოვნება, გამოხატეს ემოციები, გაუჩნდათ კითხვები, დაამყარეს ურთიერთობა ერთმანეთთან.

„ანბანელებმა“ ჯერ არ იციან წერა-კითხვა. მაგრამ აღმზრდელის დავალებები თავიანთი გვარისა და სახელის, სხვა სიტყვების ამოცნობა თვალით შეძლეს. კითხვაზე—როგორი განწყობით მოდიან ბაღში, უპასუხეს, რომ მოდიან კარგ, ხალისიან, მხიარულ განწყობაზე, პატარებმა ბევრი რამ იციან, თვლა ანგარიში 1-დან 20-მდე, ითვლიან უკუთვლით, რიგითობით, კარგად თამაშობენ ბურთით წრეში, ასო ბგერათა კამათელზე, ასახელებენ ასო-ბგერებს, ხმოვნებს, თანხმოვნებს, სიტყვებს, რომელიც ასახავენ წელიწადის დროებს, სხვადასხვა ხილის ნახატით ამოიცნობენ ასო-ბგერებს, მარცვლავენ სიტყვებს და სხვა.

სწავლა ამ დღეს საუბრის, თამაშის და გართობის სახით წარიმართა, გამოყენებული იქნა მრავალი რესურსი, მოისმინეს მუსიკა, წაკითხული და წაკითხულიდან გამოიტანეს აზრი, რომელიც კარგად ჩამოაყალიბეს.

ეს პროექტი ამ ჯგუფისათვის არ არის პირველი, აღმზრდელები დარეჯან ბეღელაძე, სოფიკო კუბლაშვილი ბევრს მუშაობენ, რათა მეცადინეობის პროცესში პატარებში აღზარდონ გულისხმიერება, ნებისყოფა, პასუხისმგებლობა, განუვითარონ მათ სწორი მეტყველება, თხრობის უნარი, რეალური მოვლენების აღწერა და სხვა. მშობლებს, რომლებიც პროექტის მიმდინარეობის განმავლობაში ინტერესით აკვირდებოდნენ შვილებს და შვილის მეგობრებს—გამოყვათ რწმენა, რომ პატარების ბედი საიმედო ხელშია, რომ მათი შვილები: ელენე ბრეგვაძე, მარიამ ბუსკივაძე, ანრი გავაშელაშვილი, ალექსანდრე გავაშელაშვილი, ბარბარე თურქაძე, სანდრო კოხიაშვილი, ბარბარე კვარაცხელია, ბარბარე მეგრელი, დათო ობოლაძე, მარიამ მაკარიძე, ევა რობაქიძე, გიორგი რობაქიძე, ბარბარე ფორჩხიძე, ანდრია ქურცაძე, ქრისტინე ძოწენიძე, დანიელ ძოწენიძე, გიორგი ჯინჯიხაძე—მზად არიან პირველკლასელობისათვის, უფრო მაღალი საფეხურისათვის.

ამ პროექტის განხორციელებაში აღმზრდელებთან დარეჯანთან და სოფიკოსთან ერთად, აქტიურად იყვნენ ჩართულნი აღმზრდელის თანაშემწეები: ნათია გელაშვილი, სოფიკო მოსელიძე, მუსიკის პედაგოგი ლია გაგიშვილი, მეთოდისტი ქეთევან ჯაბიძე.

მშობლების სახელით სიტყვით სოფო სიუკაევა გამოვიდა, მან მადლობა გადაუხადა ბაგა-ბაღის თანამშრომლებს იმ მუშაობისათვის, რომლებსაც ისინი ეწევიან მათი შვილების დედობრივი მზრუნველობისთვის, პირველდაწყებითი განათლების მიღებაში განსაკუთრებული წვლილისათვის და „აღიარეს“ ბავშვები ოჯახში, სახლში, წაახალისეს ისინი სერთიფიკატებით.

ჟუჟუნა ცხადაძე

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“, ტრადიციულად გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

წუთიერი დუმილით და დაწყებული საქმეების ბოლომდე მიყვანის მოთხოვნით...

1☜

მერის მოადგილემ, მირზა ქოჩიაშვილმა ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს ყველა იმ პრობლემაზე დროული რეაგირება დაავალა, რაც მოსახლეობას აწუხებს, ასევე ყურადღება გაამახვილა მუნიციპალური სამსახურების ეფექტური მუშაობის აუცილებლობაზე და სერვისების ხარისხის ამაღლებაზე.

მეორე—14 ნოემბრის სამუშაო თათბირს, რომელსაც კვლავ მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი, მანუჩარ რობაქიძე უძღვებოდა ესწრებოდნენ: მერის მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი, მერიის სამსახურებისა და განყოფილებების უფროსები, ასევე ა(ა)იპ -ების ხელმძღვანელები და მერის წარმომადგენლები.

ხელმძღვანელმა პირებმა სფეროების მიხედვით, დაგეგმილი ღონისძიებებისა და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ მოისმინეს ინფორმაცია.

მერიის საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელმა, ავთანდილ ურიადმყოფელმა, თათბირის მონაწილეებს წარუდგინა მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და მომავალი — 2023 წლის ბიუჯეტის ანალიზი. ყურადღება გამახვილდა არსებულ

პრობლემებზე, რეზერვების ეფექტურად გამოყენების თაობაზე. 2023 წლის ბიუჯეტი უკვე წარდგენილია მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

მერის წარმომადგენლებს დაევალათ პირად კონტროლზე აიყვანონ თითოეული მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები და ყოველდღიურ რეჟიმში მოხდეს ინფორმაციის მოწოდება, ასევე მაქსიმალურად განხორციელდეს მოქალაქეებთან თანამშრომლობა და მათი პრობლემების მოგვარება.

თათბირზე, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსმა, დიანა ფოცხვერაშვილმა თანამშრომლებს სისხლის უანგარო დონაციის აქციის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის ორგანიზებით აქცია 15 ნოემბერს, 11:00 საათზე, ქალაქ თერჯოლაში, სპორტის სასახლეში გაიმართა.

როგორც მერის მოვალეობის შემსრულებელმა, მანუჩარ რობაქიძემ განაცხადა, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, ამ დროისთვის 2 ლოკაციაზე სექციური სიჩქარის მზომი ვიდეოკამერები ჩაირთო, რაც უზრუნველყოფს საავტომობილო გზებზე უსაფრთხოების ნორმების დაცვით გადაადგილებას.

სექციური სიჩქარის მზომი ვიდეოკამერა ავტობანზე თერჯოლის გადასახვევიდან, სოფელ ქვედა სიმონეთამდე 2 ლოკაციაზე ამუშავდა.

თათბირზე ინფორმაცია გააკეთეს ფარმაცევტული კომპანიის „GM PHARMA”-ს წარმომადგენლებმა. ინფორმაცია ეხებოდა ქრონიკული დაავადების სამკურნალო მედიკამენტების უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში უფასო მედიკამენტებს მიიღებას. უფასოდ მედიკამენტების მიღება შეუძლიათ: გულ-სისხლძარღვთა სისტემის, ფილტვის, დიაბეტის, ფარისებრი ჯირკვლის, ეპილეფსიით, პარკინსონის დაავადების მქონე მოქალაქეებს.

P.S. აღნიშნული პროგრამით სარგებლობისთვის მიმართეთ ოჯახის ექიმს. ასევე, დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე (1505).

საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოების მონიტორინგი...

საგზაო ინფრასტრუქტურის მონიტორინგის ფარგლებში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი, მანუჩარ რობაქიძე, მერის მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ბარათაშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად სოფელ ღვანკითსა და ჩიხორში იმყოფებოდნენ.

„თერჯოლის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება გრძელდება. აქტიურ ფაზაშია თერჯოლა-ღვანკითის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის

☞3

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲒᲖᲐᲝ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲘᲢᲝᲠᲘᲜᲒᲘ...

2 ☞

სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამ დროისთვის მიმდინარეობს მოსამზადებელი ეტაპი, რომლის დასრულების შემდეგ მოხდება ა/ბეტონის საფარის მოწყობა. გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები რგფ-დან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება“—განაცხადა მერის მოვალეობის შემსრულებელმა მანუჩარ რობაქიძემ.

პარალელურად მიმდინარეობს ჩიხორი-შიმშილაქედის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა, პროექტის ფარგლებში მოეწყობა ა/ბეტონის საფარი, გვერდულები და სანიაღვრე არხები. პროექტის დასრულების შემდეგ გადაადგილება უსაფრთხო და კომფორტული გახდა.

მონიტორინგში ღვანკითი-რუფოთის მაჟორიტარი დეპუტატი შალვა ჭანკვეტაძე, საზანო-თუზის მაჟორიტარი დეპუტატი დავით გოგბერაშვილი, ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი ლაშა ლანჩავა და საქართველოს პარლამენტში, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ᲒᲐᲛᲬᲕᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲥᲪᲘᲐ...

ამ დღეებში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ორგანიზებით გაიმართა გამწვანების აქცია.

აქციაში თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი, მანუჩარ რობაქიძე, მერის მოადგილე, მირზა ქოჩიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ბარათაშვილი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდნენ.

აქციის მონაწილეებმა ქალაქის ტერიტორიაზე, ნაძვისა და კვიპაროსის ნერგები დარგეს. თერჯოლის მერია, ყოველმხრივ შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩატარებას ნებისმიერი ორგანიზაციის, საჯარო, კერძო სამსახურის თუ ინდივის მიერ.

ᲚᲐᲨᲐ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით, მინი-ფეხბურთში მუნიციპალიტეტის პირველობისთვის ჩემპიონატები გრძელდება.

საფეხბურთო მატჩში, რომელიც ლაშა გოგიაშვილის სახელობისაა, ადმინისტრაციული ერთეულებიდან 15 სამოყვარულო გუნდი მონაწილეობდა.

ახალგაზრდული პროექტი მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტის მასშტაბით ფეხბურთის პოპულარიზაციას, უბნებს შორის მეგობრობასა და სპორტულ თანამშრომლობას, მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

ჩემპიონატის გახსნას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი, მანუჩარ რობაქიძე, მერის მოადგილე, მირზა ქოჩიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ბარათაშვილი მრავალრიცხოვან მაყურებლებთან ერთად ესწრებოდნენ.

ტურნირის ფინალში გავიდნენ ნახშირღელის და ალისუბნის ფეხბურთელთა გუნდები. დაწვრილებით შემდეგ ნომერში.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ
(ᲡᲘᲥᲗᲐᲠᲕᲐ)

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით სიქთარვა-ჩხარიეწერში 36 000 ლარი იყო გამოყოფილი. სოფლის მოსახლეობის კრებაზე წარმოდგენილ იქნა რამდენიმე პროექტი, იყო აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება თუ რომელი პროექტი უნდა განხორციელებულიყო, შეთანხმებით მიიღეს. სექტემბერში პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები შესრულებული იყო.

ცენტრალურ გზაზე გაკეთდა: 700 მეტრი სანიაღვრე არხი, გარე განათება 4 კმ-ზე, 11 მეტრი სანიაღვრე ბოგირი, მგზავრთა მოსაცდელი ჭურაძეების უბანში, შეიცვალა საბავშვო ბაგა-ბაღის ჭიშკარი, ჩხარიეწერში მოეწყო სასაფლაოზე მისასვლელი ასაქცევი გზა, ამავე გზაზე 300 მეტრი სანიაღვრე არხი.

ჩხარიეწერში მოეწყო ფეხბურთის მოედანი, რომელიც შემოიღობა, გაკეთდა გარე განათება, სათამაშო კარებები, როგორც დიდი, ისე მინი თანაშებისთვის... პროექტების განხორციელებისას იყო დამატებითი საჭიროებები, რომელიც სოფელმა მუნიციპალიტეტის მერიიდან მიიღო.

მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლობა: გიზო ხანიაშვილი, დავით გამეზარდაშვილი, ბაჩუკი ბუსკივაძე ერთად, ერთი მიზნით მუშაობენ, ერთმანეთს გვერდში უდგანან და კეთდება საქმე...

ᲟᲣᲟᲣᲜᲐ ᲪᲮᲐᲓᲐᲫᲔ

ᲒᲝᲒᲘᲢᲐᲡ ᲛᲐᲠᲜᲘᲓᲐᲜ_12 ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ

ღვინის დიდი გზა რომ თერჯოლაში გაივლიდა ამაზე არც ადრე გვეპარებოდა ეჭვი და მითუმეტეს ახლა, როცა რესპუბლიკაში მევენახეობა-მეღვინეობის დარგი განსაკუთრებით პრიორიტეტულია. იგი მუდმივი ზრუნვითაა გარემოსილი. სწორედ ამის შედეგია, რომ რთველი—2022 გეგმაზომიერად და უპრობლემოდ მიმდინარეობს, როგორც კახეთში ისე ქვეყნის სხვა ვაზიან რეგიონებში. ზემოთ „ღვინის გზა“ ვახსენეთ და ასეთ წარწერიან ფირნიშებს ნახავთ ქ. თერჯოლაში, ნახშირღელეში, საზანოში... მიჰყვებით მას და უეჭველად მოხვდებით ან ღვინის მწარმოებელ კოოპერატივში ან ინდსაწარმოში, სადაც შეგიძლიათ, სურვილის მიხედვით, დააგემოვნოთ ღვინოები, მიღებული სხვადასხვა საუკეთესო ჯიშის ყურძნისაგან, შეიძინოთ როგორც გინდათ და რამდენიც გინდათ.

აგერ, ფირნიში რუსთაველის ქუჩაზე (ავტოსადგურის ტერიტორია) წარწერით „გოგიტას მარანი“. დაინტერესებულნი გოგიტას საწარმოთი მივყევით გზას და „მარნის კარი ავუჭრიალეთ“ ახალგაზრდა, ენთუზიასტ მეღვინეს. გულთბილად შეგვხვდა. მოგვატარა „მარნის“ შემოგარენი, ვთხოვეთ და გულდასმით გაგვაცნო თავის სავენახე-სამეღვინეო საქმიანობა.

მარანი ჰქვია თორემ აქ მთელი ინფრასტრუქტურაა მაღალხარისხოვანი ღვინის დაყენებისათვის და არა მარტო. ხშირია სტუმრები, როგორც ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებიდან და ქალაქებიდან, ისე უცხოელი ტურისტების სახით, რათა უშუალოდ შეიცნონ ქართული, ამ შემთხვევაში თერჯოლური ღვინის გემოვნება და ლაზათი.

ვთხოვეთ და გოგიტა ვაზის ირგვლივ გულდასმით გვესაუბრა. ისეთი სითბოთი და სიყვარულით მოიხსენიებს ქართველი ხალხისათვის ამ უძველეს, ტრადიციულ კულტურას, როგორც მამა შვილებს. არცაა გასაკვირი, ეს თვისება მამა-პაპიდან მოსდგამს. ვაზის მოვლა-პატრონობის და ღვინის დაყენების საიდუმლოებებიც ოჯახში შეიძინა, მამა დემურ მაკარიძე გამოჩინებული მეპიტონიკე და მეღვინე იყო. კონკურენტული პროდუქტის მისაღებად, ცნობილ მეღვინეთა გამოცდილება მისხალ-მისხალ შეისწავლა. თვითნასწავლმა მეღვინემ, იმდენი იმეცადინა ახლა იქით აძლევს დაინტერესებულ პირებს საჭირო რჩევებს.

მე არ ვიცი ვაზზე კარგი რომელი კულტურა უნდა გააშენოს ჩვენებურმა კაცმაო, გვეუბნება გოგიტა, მართალია კლიმატური პირობების გაუარესების გამო (გაუსაძლისი გვალვები) ვაზის მოვლა გაჭირდა, მაგრამ თავდაუზოგავი შრომით სასურველი შედეგის მიღწევა მაინც შეიძლება. როცა ამ საქმეს მოვკიდე ხელი ვაზის ფართობიც მცირე მქონდა და მატერიალური ბაზაც. 2014 წელს გამიმართლა და ევროგრანტი მოვიგე. შევიძინე საჭირო ტრანსპორტი, ყურძნის დასაწური და ღვინის ჩამოსასხმელი დანადგარები. ნახევრადავტომატური ხაზი მაქვს და ყურძენს უპრობლემოდ ვამუშავებ. თანდათან ვაზის პლანტაცია გავაფართოვე. ჩემს ზვარში სხვადასხვა ჯიშის ყურძენი მაქვს. მათ შორის ციცქა-ცოლიკაური, ოცხანურის საფერე, დონდღლაბი და ა.შ. სულ 8000 ძირი.

ჩემი საწარმოს პროდუქცია ბიოპროდუქტია. მხოლოდ ორგანული სასუქით ვკვებავ ვაზს. არაერთგზის წარვსდექი დედაქალაქში ღვინის გამოფენა-გაყიდვაზე, სადაც ჩემი მარნის პროდუქციამ დიდი მოწონება დაიმსახურა. სწორედ იქ გავაფორმე ხელშეკრულება სხვადასხვა კომპანიებთან, ღვინის მიწოდებისათვის. მეტად საიმედო კომპანიებია, პროდუქციის რეალიზაციაში შეფერხება არ მაქვს. წლიურად საშუალოდ 6000 ლიტრ ღვინოს ვასაღებ. ჩემი მარნის პროდუქცია საზღვარგარეთის 12 ქვეყანაში გადის.

საკმაოდ ხშირად მყავს სტუმრები უშუალოდ აქ, ადგილზე აზიისა და ევროპის ქვეყნებიდან, ტურისტების სახით. მოსწონთ მასპინძლობა და რჩებიან ხოლმე ღამის გასათევადაც. საამისოდ თავის დროზე გავისარჯე, მოვაწყვე მინი სასტუმრო, თანამედროვე დიზაინით 6 ნომრიანი. მომავალში ალბათ კიდევ უფრო გავფართოვდები, ვნახოთ. მთავარია მშვიდობა იყოს.

ახლა რთველში ვარ. წლის მოსავალს ვიწევ. ჭირვეული ამინდების მიუხედავად მოსავალს არ ვემდური.

ვისაც სურვილი აქვს მოვიდეს, დააგემოვნოს ქვევრში მამაპაპურად დაყენებული ღვინო. ჩემი მარნის ჭიშკარი კარგი ხალხისათვის ყოველთვის ღიაა—დასძინა გოგიტამ ბოლოს.

სხვა რაღა დაგვრჩენია, მადლობა მოვუხადეთ და ახალი მიღწევები ვუსურვეთ უკვე თვალსაჩინოდ წარმატებულ ენთუზიასტ მეღვინეს.

Ი. ᲔᲠᲐᲫᲔ

ქალბატონი, რომელიც კვლავ არაერთხელ ასახელებს თერჯოლას...

„პიროვნების აღზრდა და ჰარმონიული განვითარება შეუძლებელია ხელოვნებასთან ზიარების გარეშე. ხელოვნების სხვადასხვა დარგის შესწავლა აღქმასა და გრძნობას აფაქიზებს, ავითარებს წარმოსახვით უნარს, შემოქმედებით მიდგომასა და კრიტიკულ აზროვნებას, რის გარეშეც წარმოუდგენელია ადამიანის ნებისმიერი საქმიანობა...“ ასე ფიქრობს, ასე სწამს ამ პუბლიკაციის მთავარ პერსონაჟს.

ეს ხათუნა გურულია, თერჯოლელთათვის კარგად ცნობილი ქალბატონი და არა მხოლოდ თერჯოლელთათვის, თერჯოლის №1 საჯარო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგი, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის თექა-გობელენის კლუბის კოორდინატორი, ამასთან ერთად პოულობს დროს და მუშაობს შშმ პირებთან „იმედის სხივსა“ და „საპოვნელაში“, სადაც ბენეფიციარებს ასწავლის თექის დამუშავებას...

მისი საქმიანობა აღსაზრდელებთან არ შემოიფარგლება მხოლოდ კონკრეტული მიმართულებით. იგი მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას ქართული ხალხური რეწვისა და ეროვნული მატერიალური ტრადიციული კულტურის შესახებ, ამიტომ მისი გაკვეთილები მუდამ მრავალფეროვანი და საინტერესოა.

ხათუნა გურულზე და მის აღსაზრდელთა მიღწევებზე არაერთხელ დაწერილა

ჩვენს გაზეთში. ამჯერად კიდევ შევახსენებ ჩვენს მკითხველებს, რომ ხათუნა გურული ერთი იმათგანია, რომელიც თავის ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად, ცდილობს რაც შეიძლება შორს გაიტანოს იმერეთის ამ პატარა რაიონის სახელი, მისი მოტივაცია ასეთია: აქვს მიღწევები თუ საკუთარი ინიციატივა გამოფენიდან გამოფენაზე, ფესტივალებსა და კონკურსებზე დამთვალიერებლებსა თუ თავად ჟიურის წევრებს აჩვენოს როგორ იქმნება ულამაზესი ხელოვნების ნიმუშები: ფარდაგი, გობელენი, თექა, თექის თოჯინები... და მიზანსაც აღწევს...

ამაზე მეტყველებს ის უამრავი პრიზი, დიპლომი, სიგელი, სერთიფიკატი, მადლობის ფურცელი და ა.შ. სხვადასხვა ჯილდო, რომელიც ინახება როგორც ხათუნას, ასევე თერჯოლის №1 საჯარო სკოლისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის თექა-გობელენის კლუბის არქივებში...

დიახ, ხათუნა გურულისა და მის აღსაზრდელთა ანუ „ნორჩ ხელოვანთა“ ნამუშევრები უკვე საქვეყნოდაა აღიარებული. არც ერთ გამოფენაზე, ფესტივალსა და კონკურსზე, სადაც კი მონაწილეობა მიუღიათ, უზადოდ შესრულებული ნამუშევართა ხიბლი ყურადღების მიღმა არ დარჩენილა... უფრო მეტიც, ყოველთვის არიან ნამუშევართა შეძენის მსურველებიც...

ხათუნას პირველი პერსონალური გამოფენა 2011 წელს მოეწყო თერჯოლაში, შემდეგ კი მისი და მისი მოსწავლეების ნამუშევართა არაერთი წარმატებული გამოფენები იყო თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, თურქეთში, ბაქოში, ბულგარეთში, კაბადოკიასა და საფრანგეთში.

იყო უამრავი წარმატებული და სიხარულით აღსავსე წუთები, რომელიც ამ გამოფენა-კონკურსებიდან შემორჩა ხათუნასა და მის მოსწავლეებს.

ყოველი წელი ახალ-ახალი შემოქმედებითი წინსვლით და აღიარებითაა გამორჩეული. ყველაფერი აღიბეჭდება გონებაში და სიხარულს, სიხარული ემატება, შრომის ჟინი და პასუხისმგებლობა დამთვალიერებელთა წინაშე ყოველ ახალ ნამუშევარში აისახება... ეს ის მომენტია, როცა უკან მოხედვა აბედნიერებს...

2019 წელს გავიხსენებ... მაშინ ხათუნა თავის მოსწავლეებთან ერთად ქუთაისის ახალგაზრდული ცენტრის პროექტის „ქუთაისი-პარიზი“ ფარგლებში საფრანგეთშია. ქართულ-ფრანგულ მეგობრობის დღეებს უერთდებიან ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, ყოველივე ამას კი მეტ ხიბლს სძენს თექა-გობელენის იშვიათი ოსტატობით შესრულებული ნამუშევრები. დიდი იყო ფრანგი საზოგადოებისაგან მოწონება და აღიარება, რაც გამოიხატა არაერთ ჯილდოსა და დიპლომში, ამასთან მომავალი წლისათვის, მთელმა გუნდმა მასპინძლებისაგან ახალი მიწვევა მიიღო. ამასთან მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის თექა-გობელენის კლუბის ხელმძღვანელი ხათუნა გურული და აღსაზრდელები მარიამ მუჯირი და ქრისტინე მაკარიძე დაჯილდოვდნენ სპეციალური სერთიფიკატით. და კიდევ პარიზის ერთ-ერთმა გამომცემლობამ „მედუზამ“ ქართველ ხელოვან მოსწავლეებს და მათ მასწავლებელს ერთ-ერთი ფრანგულად ნათარგმნი ქართული ზღაპრის ილუსტრირება მიანდო...

ხათუნას მიერ „რწყილი და ჭიანჭველაზე“ დაყრდნობით დამზადებული თექის თოჯინები მოხვდა ფრანგული ზღაპრის წიგნებთან ერთად გამოფენა-გაყიდვაში და პარიზში მათი გაყიდვა წარმატებით დასრულდა. რომ არა კოვიდპანდემია, იმავე წელს, ხათუნას საფრანგეთში მასტერ კლასის ჩასატარებლად ელოდებოდნენ...

ეს ძალიან მნიშვნელოვანი აღიარება იყო ქართველი ხელოვანი ქალბატონის ცხოვრებაში.

ასოციაცია საქართველოს კულტურის განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებულ ფესტივალში მიღწეული წარმატების გამო იწვევდნენ საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნებში, სადაც თავის მოსწავლეებთან ერთად მუდამ ხელდამშვენებული ბრუნდებოდა...

შრომისმოყვარეობა, სიახლეების ძიება, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების დიდი სურვილი, როგორც იტყვიან თანდაყოლილი ნიჭი და უნარი ანუ ყველაფერი გააჩნია ქალბატონ ხათუნას, ეს ყველაფერი აღსაზრდელებსაც გადასდოს, აიყოლიოს, დაეხმაროს მათ საკუთარი თავის შეცნობასა და საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა-წარმოჩენაში. იგი ყველაფერს აკეთებს ამისათვის. ამაზე მეტყველებს სხვადასხვა ძალზე მნიშვნელოვანი აქტივობები, რომელიც კიდევ უფრო პოპულარულს ხდის მას და მის მოსწავლეებს...

ბუნებრივია, შეუძლებელია ყველა აქტივობა, კონკურსი თუ ფესტივალი აღნუსხო, რომლებიც თუნდაც მიმდინარე წელს გააღამაზა ნამუშევრებით მოსწავლეებთან და კოლეგებთან ერთად.



იყო ასეთი: თანამედროვე ხელოვანი სტუმრად საქართველოს ახალგაზრდულ აკადემიაში, სადაც ხათუნას ნამუშევართა გამოფენას დიდი მოწონება ხვდა წილად, შესაბამისად დაჯილდოება. N STUDIA და საქართველოს საპატრიარქოს ცენტრი მასპინძლობდა ინტეგრირებულ გამოფენა-ფოლკლორულ კონცერტს „მზის შვილები“, გამოფენაში, კოორდინატორთან ერთად, მონაწილეობდა მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის თექა-გობელენის კლუბის 7 წევრი: ალეკო დიაკონიძე, ელენე გურაბანიძე, ბაია მაკარიძე, ნინი ქაშაკაშვილი, ელენე დადიანი, თამარ და ქეთევან კლდიაშვილები—ცენტრის დირექტორი ქალბატონი ნინო ოქრუაძე და თითოეული მონაწილე დაჯილდოვდნენ დიპლომებით. საინტერესო შემეცნებითი პროექტი თერჯოლის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის, ესთეტიკური და შრომითი აღზრდის კათედრის წევრის, ხათუნა გურულისა და დარეჯან გოგბერაშვილის ხელმძღვანელობით ჩხარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, მოსწავლეები კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების დამკვიდრებისა და ხელოვნების თავისებურებებით დაინტერესების მიზნით, რა დროსაც პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა შექმნეს პრეისტორიული ეპოქის სტილის ნამუშევრები.

№1 საჯარო სკოლის ესთეტიკური და შრომითი აღზრდის კათედრამ ხათუნა გურულის პროექტის ფარგლებში, ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით, გასვლითი ინტეგრირებული ღონისძიება გამართა ქ. თერჯოლაში შშმ ბავშვთა დღის ცენტრებში „იმედის სხივსა“ (ნაიარა ნიკოლაძე) და „საპოვნელაში“ (ნათია ნამიჭეიშვილი). პროექტში ჩართულნი იყვნენ №1 საჯარო სკოლის პედაგოგები: ხელოვნების მასწავლებელი დარეჯან გოგბერაშვილი, სოფო ქავთარაძე, თამარ ამირანაშვილი, ანნა მემანიშვილი...

ლამაზი ღონისძიება, რომელშიც სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ შშმ პირთა შესაძლებლობების საზოგადოებაში სტიგმის დამარცხებას ისახავდა მიზნად და მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებას შშმ პირების შესაძლებლობების თანაბარ პირობებში რეალიზებას და ადაპტირებულ გარემოს, სადაც „ყველა ბავშვის“ უფლება თანაბრადაა დაცული.

სტუმარ-მასპინძლებმა ერთად ლამაზად მოილხინეს...

და ისევ ფესტივალი...

N STUDIA საერთაშორისო ფესტივალზე! თბილისში გამართულ ფესტივალში მონაწილეობდნენ მოლდოვა, რუმინეთი, სომხეთი, გერმანია, უკრაინა, სლოვაკეთი, საქართველო და კუბა!

14 ოქტომბერი—თელავი!

15 ოქტომბერი—მცხეთა!

16 ოქტომბერი—თბილისი!

ფესტივალზე ხათუნა გურულისა და დარეჯან გოგბერაშვილის ორგანიზებით ნამუშევრები წარადგინეს №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდნენ მოსწავლეები და პედაგოგები: გიორგი და ანამარია ანაკიძეები, ილია ამბროლაძე, გიორგი სულამანიძე, ნია თოდიძე, ანდრია ზარნაძე, გაბრიელ, მარიამ და ლუკა ჩიტიძეები, ნინო ხუჯაძე, გურამ აბულაძე, ბაჩანა ღიბრაძე, დავით ბერაია, ტარიელ გელიაშვილი, ნინი და ნატალია ლილუაშვილები, მარიამ და გიორგი ზაქარაშვილები, ელენე დადიანი, ალექსი ურიადმყოფელი, ანი დადუნაშვილი და ელენე მაკარიძე...

ქ. თბილისის მერიისა და შპს „კრეატივი 2020“-ის ორგანიზებით თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ფოიესა და საკონცერტო დარბაზში გამართულ გამოფენას, ხათუნა გურულის ნამუშევრებიც ამშვენებდა, რომელიც წარმატებული მონაწილეობისათვის სიგელით დაჯილდოვდა.

ხათუნას ჯილდოთა კოლექციას ინდოეთში, გოაზე რიგით მე-7 სპანდანის საერთაშორისო ონლაინ გამოფენაზე მიღებული სერთიფიკატიც შეემატა.

მაღალი შეფასება დაიმსახურა ბათუმის საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც 9 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, თერჯოლის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრებმა. პედაგოგები: ხათუნა გურული და დარეჯან გოგბერაშვილი, მათ კონკურსში გაიმარჯვეს და პირველი ადგილი დაიკავეს. თითოეული მოსწავლე და პედაგოგები პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდნენ...

იყო კიდევ სპანდან გლობალ ინდო-ქართული არტ ფესტივალი, სადაც ხათუნას ნამუშევრებმა მოწონებები და აღიარება მოიპოვა... ამაზე მეტყველებს ის უმნიშვნელოვანესი ფაქტი, რომ ხელოვნების საერთაშორისო ჟურნალში ხათუნა გურულის საქმიანობის ამსახველი სტატია, აგრეთვე მის ნამუშევართა ფოტოებია განთავსებული...

ხათუნა ამ ცოტახნის წინ მომხსენებლის რანგშიც მოგვევლინა, როცა თერჯოლის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზებით გამართულ კონფერენციაზე წარმოადგინა თემა: „ეზოს მაკეტი“. მან კოლეგებს გაუზიარა საკონფერენციო პრეზენტაციის მომზადების ეტაპები, შემდეგ უპასუხა მათ მიერ დასმულ შეკითხვებს...

ახლახანს, 8 ნოემბერს, ქუთაისის ოპერის თეატრში ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის მეორე ტური გაიმართა. თერჯოლელ მომღერალ-მოცეკვავეთა წარმატებულ მონაწილეობას ნამდვილად კარგ ფონს უქმნიდა ხათუნა გურულისა და ანა გოგიაშვილის ნამუშევართა გამოფენა... რაოდენ სასიხარულოა, რომ ხელოვან ქალბატონებს: ხათუნასა და ანას საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ლაურეატის წოდება მიენიჭათ.

ეს წლევანდელი აქტივობების არასრული ჩამონათვალია, სადაც ხათუნა გურული რიგ შემთხვევაში თავად არის ინიციატორი სხვადასხვა აქტივობისა, რიგ შემთხვევაში კი მიწვეულია აღსაზრდელებთან ერთად. ეს ყოველივე დიდ ძალისხმევას, ენერგიას და თუნდაც დროს საჭიროებს.

დაძაბული რეჟიმისა და დროის დეფიციტის მიუხედავად იგი მართლაც ყველაფერს ასწრებს... და როგორც თავად აღნიშნავს ეს ყველაფერი მისი მეუღლის, დავით ნიკოლაძის დიდი დამსახურებაა. იგი გვერდში უდგას, ამხნევებს და რიგ შემთხვევაში ეხმარება კიდევაც. ასევე თავისებურ პოზიტივს იღებს შვილებისაგან, მარიამსა და ნინოს დედის წარმატება ბუნებრივია ახარებთ და თავიანთი კარგი სწავლით მეტ სტიმულსა და მოტივაციას აძლევენ დედას.

ახლახანს ხათუნა საერთაშორისო მეგობრობის კლუბის წევრი გახდა. ის კიდევ ბევრჯერ „იტყვის სათქმელს“ თავისი ხელოვნებით, მიზანდასახულობით და დაუღლელი მარჯვენით.

მზია ცქიფურიშვილი

მუსიკოსი მუსიკოსების ოჯახიდან

თერჯოლის შვიდწლიან სამუსიკო სკოლაში, ქ. ქუთაისის სამუსიკო ათწლედში, ბალანჩივაძის სახელობის ქუთაისის სამუსიკო სასწავლებელში, სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქუთაისის ფილიალში, რომლებიც სხვადასხვა დროს წარჩინებით დაამთავრა, მიიღო მრავალმხრივი მუსიკალური განათლება—ფორტეპიანოს სპეციალობით, საგუნდო-სადირიჟორო, ვოკალური განხრით. გულთამზე კუბლაშვილს, მუსიკოსის ოჯახში დაბადებულს და გაზრდილს სხვა პროფესიის მიღებაზე არც უფიქრია, ნიჭს ხელი შეუწყო მამის ვაჟა კუბლაშვილის უსაზღვრო წარმატებებმა და ცნობადობამ საქართველოს მუსიკალურ საზოგადოებაში, ვაჟას სიმღერა ხიბლავდა მსმენელს, ქუთაისის და თბილისის ოპერის სცენაზე მისი გამოსვლა ნამდვილი დღესასწაული იყო, მას მრავალჯერ შეუსრულებია დუეტი მსოფლიოში აღიარებულ მომღერლებთან.

სიმღერისა და მუსიკის ნიჭით იყო და არის დაჯილდოებული ვაჟას ოჯახის ყველა წევრი და გამონაკლისი ქალბატონი გულთამზე როგორ იქნებოდა! მან, სრულიად ახალგაზრდამ ალისუბნის სამუსიკო სტუდიის გამგედ, თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში საოპერო წრის ხელმძღვანელად და სტუდიის ფორტეპიანოს პედაგოგად მუშაობისას მიიქცია ყურადღება, როგორც საქმის მცოდნე სპეციალისტმა.

1986 წელს, ახლა უკვე საკმაო გამოცდილების მქონე მუშაობას იწყებს ვაჟა კუბლაშვილის სახელობის თერჯოლის სამუსიკო-საგანმანათლებლო სკოლაში კონცერტმაისტერ-ილუსტრატორად, სოლო სიმღერის და ვოკალური ანსამბლის პედაგოგად. დაძაბულ, შრომატევად, მაგრამ სასიამოვნო შრომაში გავიდა ოცდათექვსმეტი წელი, ან ხნის მანძილზე მრავალი წარმატება ჰქონია, აღუზრდია მრავალი კონკურსისა და ფესტივალის ლაურეატი მოსწავლეები: ლევან მაკარიძე, ნათია მოსიაშვილი, მარიამ ფანჩულიძე, ლაშა ქოჩიაშვილი, არჩილ ჩაფიჩაძე და სხვები. ამაყობს, რომ ლევანი და ნათია ბოლომდე გაჰყვნენ სიმღერას, მშვენიერების ამ გზას და იპყრობენ საოპერო თეატრის სცენებს, როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის გარეთ.

ყოველწლიური „გრანპრი“

ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკის რესპუბლიკური, საერთაშორისო ფესტივალი „მომავლის ვარსკვლავები“ 10 წლის წინ დაარსდა. 2012 წლიდან მონაწილეობს ქალბატონი გულთამზეს სამუსიკო სკოლის ვოკალური ანსამბლები და ინდივიდუალური შემსრულებლები ამ ფესტივალში და ხდებიან ლაურეატები, „გრანპრის“ მფლობელები. სამუსიკო სკოლაში სამი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ერთი საბავშვო ოპერის დადგმა იოლად არ მომხდარა. არც კლასის კონცერტის ჩატარებაა მისთვის ერთეული შემთხვევა.

„იმერეთი“ და „იამე“

სახალხო ფოლკლორულ გუნდს „იმერეთს“ და ფოლკლორულ ანსამბლს „იამეს“ საქართველოს წამყვან ფოლკლორულ კოლექტივებს შორის მყარი ადგილი აქვთ დაფუძნებული. არსებობს უნიკალური წიგნი „ფოლკლორული ანსამბლები“, რომელშიც ქვეყნის სამოც საუკეთესო სიმღერისა და ცეკვის ჯგუფებს შორის შესულია თერჯოლის ორი ანსამბლი „იმერეთი“ და „იამე“. საამაყოა იყო ამ ანსამბლების ხელმძღვანელი, დასაფასებელია ქალბატონ გულთამზეს საქმიანობა და ის, რომ ღირსეულად გრძელდება ტრადიცია, ფართოვდება რეპერტუარი და თვალსაჩინო ხდება მიღწევები.

ანსამბლებმა „იამემ“ და „იმერეთმა“ პატრიარქის მიწვევით ერთობლივი კონცერტი გამართეს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ, კონცერტი მიეძღვნა ოჯახის სიწმინდეს, კონცერტი გაიმართა აგრეთვე კურორტ საირმეში კურორტის ადმინისტრაციის მიწვევით.

მიმდინარე წლის 15 ოქტომბერი

თბილისში ჩატარდა მუსიკის შემსრულებელთა ეროვნული კონცერტი „მომავლის ვარსკვლავები“, სადაც სამუსიკო სკოლის ანსამბლები ლაურეატები გახდნენ. „იამე“ ყოველ წელს მონაწილეობს სიმღერისა და საგალობლების, როგორც რესპუბლიკურ, ისე საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებზე, ფესტივალ „არტგენში“. წარმატებული იყო თურქეთში, თბილისში ფოლკლორის მე-9 საერთაშორისო ფესტივალები, სადაც სიმღერები იშხნელის რეპერტუარიდან შესრულდა, ქართული იუმორის ხონის რაიონული ფესტივალი „იპოლიტე“-ს ჟიურიმ, ანსამბლს ფულადი ჯილდო და ბაღაშვილების სახელობის პრიზი გადასცა, ზესტაფონის მერიამ ვარენკა წერეთლის სახელობის ლირიკული სიმღერის ფესტივალ „სულიკო“-ში მონაწილეობისათვის დიპლომები და ფულადი ჯილდო. მიწვეული იყვნენ საქართველოს პირველი არხის ტელევიზიაში გადაცემაზე „აკუსტიკა“ და „ხალხური სიმღერის შესწავლა“, კონსტანტინობაზე აბაშაში, დები იშხნელების საღამოზე ქუთაისში, აჭარის ტელევიზიის მიერ გადაღებულ ფილმში „ეთნოფორი“ და სხვა...

„ბათუმური რაფსოდია“...

თამარ ივერის ინიციატივით ქ. ბათუმში დაარსდა კონკურსი „ბათუმური რაფსოდია“—„ოქროს ხმა“. 29 სექტემბერს ანსამბლი „იამე“ მიწვეული იყო ციხისძირში კომპლექს „კასტელო მარეში“.

☞6

მირანდა დევიძე-ფიზკულტურისა და სპორტის მასწავლებელი

ალისუბნის №2 საჯარო სკოლის ფიზაღზრდისა და სპორტის მასწავლებელზე ლალი დიაკონიძეზე, ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის 15 ივლისის ნომერში ვწერდით. ვწერდით იმასაც, რომ მუნიციპალიტეტის სკოლებში ფიზაღზრდისა და სპორტის სამი ქალი მასწავლებელია, რომ მათზეც გვექნებოდა საუბარი. გავიცნოთ: მირანდა დევიძე—თერჯოლის №2 საჯარო სკოლის ფიზაღზრდისა და სპორტის მასწავლებელი.

დიდია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მიზნები და ამოცანები. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით—ამ საგნის სწავლების მიზანია—შეიქმნას პოზიტიური გარემო მოსწავლის ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობის განვითარების, ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობის გაცნობიერების და ისეთი სამოქალაქო უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის, როგორიცაა დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება, პასუხისმგებლობა, კონსტრუქციული თანამშრომლობა, შემწყნარებლობა. საგნის სწავლების ამოცანაა—მოსწავლის ფიზიკურ აქტივობაში ჩაბმა და ამ გზით მისი ფიზიკური თვისებების განვითარება, ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობის გაცნობიერება, დამოუკიდებელი ქმედებების სტიმულირება და ფორმირება, ზოგად-განმავითარებელ ვარჯიშთა კომპლექსების შესწავლა, გამოყენება, სწორი მოძრაობითი უნარ-ჩვევების გამომუშავება... თუ ფიზიკური აღზრდის და სპორტის სწავლების მიზნები და ამოცანები სწორედ იქნა შესრულებული, მაშინ ადამიანს არ ექნებათ პათოლოგიური გადახრა, ნავარჯიშევი ადამიანი კარგად იტანს ტემპერატურის ცვალებადობას, უფრო სწრაფია, კორდინირებული, აქვს ზუსტი მოძრაობები, იზრდება მათში ძალისმიერი სამუშაოს შესრულების უნარი, ადამიანი არის მხნე და ხანგრძლივდება მისი სიცოცხლე...

როგორ ართმევს თავს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სწავლებას მირანდა დევიძე, რა მიღწევები აქვს, რა გეგმები!

მირანდა დევიძე—დამთავრებული აქვს ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაწყებითი განათლების სპეციალობით. 21 წელს საქმის მწარმოებლად მუშაობს თერჯოლის №2 საჯარო სკოლაში, 2014 წლიდან კი ფიზიკურ აღზრდასა და სპორტს ასწავლის მე-2 და მე-3 კლასებში. არის სერთიფიცირებული პედაგოგი, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი, თინათინი, მედიცინის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი, თეიმურაზი ამავე სკოლის XI კლასის მოსწავლე. „დიდი პასუხისმგებლობაა იყო სპორტის პედაგოგი. უპირველესად უნდა იზრუნო თითოეული მოსწავლის უსაფრთხოებაზე, გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაზე, არაფერია იმაზე დიდი ბედნიერება, ვიდრე შენი მოსწავლის გაბრწყინებული სახეები და შეძახილები—„სპორტი გვაქვს“, „სპორტი გაქვს“. ვცდილობ ნებისმიერი მოძრაობა თამაშით მივაწოდო მოსწავლეს, მეც მათთან ერთად ვთამაშობ და ასე ნელ-ნელა ვასრულებთ მათი ასაკისათვის განკუთვნილ ფიზიკურ ვარჯიშს“—ამბობს მირანდა და კოლეგებთან ერთად სახავს მომავლის ამოცანებს.

№2 საჯარო სკოლაში ხშირად ხორციელდება სასკოლო პროექტები, პროექტებში „ჯანმრთელობა უფლის საჩუქარია“ კომპლექსური დავალებებიდან გამომდინარე, მონაწილეობდნენ მე-2ᵃ და მე-2ᵇ კლასების მოსწავლეები. „მხიარულ სტარტებში“ ჩაერთვნენ კლასის დამრიგებლები და მანდატურები, ძალიან საინტერესო და მხიარული გაკვეთილი მივიღეთ, გაკვეთილი კათედრაზე განვიხილეთ, გამოვუშვით კედლის გაზეთი „გზა ჯანმრთელობისაკენ სპორტით იწყება“.

მირანდას მიზანია—ფიზაღზრდის გაკვეთილზე შექმნილი ჯანსაღი ცხოვრებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები პატარებს გაჰყვეთ მთელი ცხოვრების მანძილზე. პანდემიის პირობებშიც, შესაძლებლობის ფარგლებში, ერთვებოდნენ მოსწავლეები საგაკვეთილო პროცესში, უფრო პროექტული სწავლით იყვნენ დაკავებულნი. მოსწავლეები აწყობდნენ პრეზენტაციას „ჩემი საყვარელი სპორტის სახეობა“, „გაავრცელე ქართული სპორტის ისტორია“, „ვივარჯიშოთ ერთად, ჩემნაირად, უკეთ“. დგამდნენ იმიტირებულ ლაშქრობებს, სწავლობდნენ ლაშქრობისათვის აუცილებელ წეს-ჩვეულებებს.

„განათლების სამინისტრო სპორტის ექსპერტებთან ერთად ზრუნავდა თითოეულ მასწავლებელზე და რჩევა-დარიგებას გვაძლევდა, ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში გადაგვამზადეს თითოეული სპორტის პედაგოგი, შევქმენით მატრიცები, კურიკულუმები, დღემდე გრძელდება ტრენინგები საჭიროებიდან გამომდინარე, რაც გვეხმარება მოსწავლეებამდე იქნას მიტანილი ინოვაციებით გაჯერებული გაკვეთილები“—ამბობს მირანდა და მიაჩნია, რომ ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებისათვის აუცილებელია კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა, შიდა და გარე სპორტული მოედნები, თერჯოლის №2 საჯარო სკოლა ამ მხრივ საუკეთესოა, მაგრამ რესურსები, სპორტული ინვენტარი მაინც საჭიროა, მირანდა კმაყოფილია, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ზრუნავს ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციაზე, მუნიციპალიტეტში ეწყობა სატრენაჟორო და სავარჯიშო მოედნები და სხვა.

მირანდას უყვარს თავისი პროფესია—წლების წინ ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებს სპორტის გაკვეთილებით ჩანაცვლებას და ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეტანილ ცვლილებას დადებითად აფასებს: „მოსწავლეებისათვის ჰაერივითაა საჭირო ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები, რათა თავიდან ავიცილოთ ჯანმრთელობის პრობლემები“—ასე ფიქრობს მირანდა და ბევრს მუშაობს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად.

მირანდა დევიძეზე აზრის გამოთქმა ვთხოვეთ თერჯოლის №2 საჯარო სკოლის დირექტორს რუსუდან უსუფაშვილს.

„მირანდა დევიძე არის მოსწავლეების მიმართ სამართლიანი, პატივს სცემს მათ, მოსწავლეებთან აქვს პოზიტიური ურთიერთობა, მოიპოვებს პატივისცემას მოსწავლეებისაგან და მათი მშობლებისაგან, არ აქვს ადგილი სასწავლო პროცესის დროს ხელისშემშლელ დისციპლინურ დარღვევებს. ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის სწავლასა და განვითარებას სტანდარტის მიხედვით, წლიური თემატური სასწავლო გეგმების შემუშავებით, შესაბამისი გაკვეთილების დაგეგმვით და გაზომვადი სასწავლო მიზნების განსაზღვრით. სრულფასოვნად ფლობს მოსწავლეთა ხასიათებს, კომპეტენტურია მოსწავლეების განვითარებასა და სწავლების თავისებურებების საკითხებში, ასწავლის მათ ამათუიმ ვარჯიშის ან მოძრაობის პრაქტიკულ მნიშვნელობას და ფიზიკური განვითარებისათვის მის აუცილებლობას, გასაგებად აცნობს მოსწავლეებს მათი ქცევის მიმართ მოლოდინებს და მოსწავლეებისაგან მოითხოვს ამ მოლოდინებისაგან შესაფერის ქცევას, მოსწავლეებს ასწავლის საკუთარი ქცევის რეგულირებასა და საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღებას.

დაწყებით საფეხურზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვის ზოგად ფიზიკურ მომზადებას და იმ საბაზისო მოძრაობითი უნარ-ჩვევების შეძენას, რომლებიც დაეხმარებათ მათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ სპორტის სხვადასხვა სახეობაში საბაზო და საშუალო საფეხურზე“.

ასეთია ფიზკულტურისა და სპორტის მასწავლებელი მირანდა დევიძე—მისი გაკვეთილები ხელს უწყობს გონებრივ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და შრომით აღზრდას —გამაჯანსაღებელ, საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მუშაობის ორგანულ კავშირს.

ᲟᲣᲟᲣᲜᲐ ᲪᲮᲐᲓᲐᲫᲔ

„იმედის სხივის“ იმედით...

თერჯოლის ქალთა საბჭო აგრძელებს საზოგადოებისათვის მუნიციპალიტეტის გამორჩეული ქალბატონების წარდგენას. ამჯერად არჩევანი შევაჩერეთ არაჩვეულებრივ ქალბატონზე, თერჯოლაში ᲨᲨᲛ პირთა დღის ცენტრის დამაარსებელ და მის უცვლელ ხელმძღვანელზე ქ-ნ ნაირა ნიკოლაძეზე. ეს გახლავთ ᲨᲨᲛ პირთა დღის ცენტრი სახელწოდებით „იმედის სხივი“, რომელიც თერჯოლის მეორე საბავშვო ბაგა-ბაღის შენობაშია განთავსებული.

მიმდინარე წლის 28 ივლისს ცენტრს სტუმრად თერჯოლის ქალთა საბჭოს წარმომადგენლობა ეწვია. ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. შესვლისთანავე, რაც ნებისმიერ იქ შემსვლელს თვალში ხვდება, გახლავთ იდეალური სისუფთავე და წესრიგი. პირველივე წუთებიდან ვიგრძენით ის სითბო და სიყვარული, რომლებსაც ცენტრის თანამშრომლები გასცემენ ბენეფიციარების მიმართ. ცენტრში სულ 12 ბენეფიციარია, რომელთა ასაკი განსხვავებულია. ყველაზე უმცროსი 7 წლის გოგონაა, ხოლო ყველაზე უფროსი - 16 წლის ვაჟი. აქვთ ორჯერადი კვება. ბენეფიციარებს ცენტრის ტრანსპორტი ემსახურება. აქ ყველაფერს დირექტორისა და თითოეული თანამშრომლის მზრუნველი ხელი ატყვია. ვნახეთ ბენეფიციართა შემოქმედება—არაჩვეულებრივად შესრულებული ნამუშევრები, რომლებიც ცენტრის საგამოფენო კუთხეს ამშვენებენ, მათ შორისაა ნამუშევრები თექასა და გობელინზე (ხელოვნების პედაგოგი ქ-ნი ხათუნა გურული). კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, ეს დღის ცენტრი: „იმედის სხივია“, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ

არსებობს, რომ ქრომოსომებს ნამდვილად არასდროს არ უნდა ვითვლიდეთ და რომ ნებისმიერი ადამიანის შესაძლებლობები ამოუწურავია. ბენეფიციარების ამ შესაძლებლობას, ნიჭსა და უნარს კი სწორ მიმართულებას აძლევენ ცენტრის აღმზრდელ-პედაგოგები. ჩვენი ვიზიტის დროსაც თითოეული ბენეფიციარი თავისი საქმით იყო დაკავებული: ზოგი ხატავდა, ზოგი ძერწავდა, ზოგი ღიღინებდა, ზოგი თამაშობდა კიდეც და ეს ყველაფერი ხდებოდა ცენტრის დირექტორისა და პედაგოგების მეთვალყურეობით.

ჩვენ გავესაუბრეთ ცენტრის დამაარსებელსა და დირექტორს ქ-ნ ნაირა ნიკოლაძეს. გული დაგვიმძიმდა მისი ისტორიის მოსმენით. ეს გახლავთ დედის -ბავშვთა უფლებებისათვის მებრძოლი დედის სულისშემძვრელი ისტორია. საზოგადოებასაც შეულამაზებლად ვთავაზობთ ამ ისტორიას: „ქორწინებიდან თხუთმეტი წლის შემდეგ გიორგი შემოვიდა ჩვენს ცხოვრებაში. 6 დღის იყო, როდესაც პირველად ხელში ავიყვანე. 6 კვირის შემდეგ ბავშვმა დაიწყო ჭირვეულობა. მაშინვე მივმართეთ ექიმს, რომელმაც დაუსვა სეფსისის დიაგნოზი. სამწუხაროდ, და ჩვენდა საუბედუროდ, დიაგნოზი აღმოჩნდა მცდარი. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ბავშვს ჰქონია თავის შიდა ქალის წნევა და არასწორმა მკურნალობამ ის მიიყვანა გულყრებამდე, რამაც საბოლოო ჯამში თავის ტვინის დაზიანება გამოიწვია.

გიორგის ასაკის მატებასთან ერთად იმატებდა პრობლემები და მუდმივად ვფიქრობდი მათ გადაჭრაზე. არ არსებობდა არანაირი სპეციალური სკოლები და სარეაბილიტაციო ცენტრები. შესაბამისად, გიორგი შევიყვანე ჩვეულებრივ სკოლაში, საიდანაც მასწავლებელმა ერთ თვეში გამოგვიშვა იმ მიზეზით, რომ გიორგი სხვა ბავშვებსაც ხელს უშლიდა სწავლაში. მაშინ მე იქ მოვკვდი. შემდეგ მივაკვლიე ერთ-ერთ სპეციალურ სკოლას თბილისში და ერთი წელი გადავედით, თუმცა ოჯახური პრობლემების გამო ისევ თერჯოლაში დავბრუნდით და გიორგი მივიყვანე ზესტაფონის დღის ცენტრ „ორიონ“-ში, სადაც ასევე გარკვეული პერიოდი დაჰყო“. ცნობისათვის: ქ-ნი ნაირას მეუღლე გახლდათ მოცეკვავე და ქორეოგრაფი, რომელმაც ერთ-ერთი რეპეტიციის დროს ტრამვა მიიღო, შედეგად მას ხერხემალი დაუზიანდა და ისიც ᲨᲨᲛ პირი გახდა. მიუხედავად ამ მძიმე ოჯახური ტკივილისა, ქ-მა ნაირამ ფარ-ხმალი მაინც არ დაყარა, რადგან ამ დროისათვის მას უკვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი თერჯოლაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დღის ცენტრის დაარსება. მიზნის მისაღწევად მძიმე და რთული გზა გაიარა. იყო წინააღმდეგობები, დაბრკოლებები მიზნისკენ სავალ გზაზე, თუმცა კეთილი ადამიანების დახმარებით 11 წლის წინ, 2011 წელს დღის ცენტრი „იმედის სხივი“ დააფუძნა, სადაც დღეს 6-დან 18- წლამდე ასაკის 12 ბენეფიციარი სწავლობს, რომლებსაც ცენტრის შვიდ საუკეთესო თანამშრომელთან ერთად დღის მანძილზე ქალბატონი ნაირა საკუთარი შვილივით უვლის. თუმცა მალევე თავი იჩინა ახალმა პრობლემამ: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ფართის სიმცირის გამო 18 წლის ბენეფიციარი ტოვებს ცენტრს. „მათ მოუწიათ სახლში ჩაკეტვა და იმ ყველაფრის დავიწყება, რასაც ჩვენ წლები მოვანდომეთო“,- გულისტკივილით ამბობს ქ-ნი ნაირა და თან დასძენს: „სასურველია და აუცილებელიც არის, რომ ქალაქში არსებობდეს მსგავსი სახის სერვისი 18 წელს ზემოთ პირებისთვისაც“.

„იმედის სხივის“ აღსაზრდელები არაერთ მუსიკალურ კონკურსსა თუ ფესტივალში იღებენ მონაწილეობას, საიდანც ყოველთვის გამარჯვებულები ბრუნდებიან. ასე იყო 2019 წლის ბათუმის საერთაშორისო ფესტივალზე, რომელშიც 14 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. „თერჯოლის ᲨᲨᲛ ბავშვთა დღის ცენტრმა „იმედის სხივმა“ ყველას წინაშე კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს. მათ დამსახურებულად მოიპოვეს პირველი ადგილი და გაიმარჯვეს ამ მნიშვნელოვან ფესტივალში. ჩვენ მათ ვიწვევთ ბულგარეთის საერთაშორისო ფესტივალზე, რომელიც გაიმართება მიმდინარე წლის 16-დან 18 ივლისამდე ქვეყნის დედაქალაქის კონგრესცენტრში. ეს ბავშვები მსოფლიომ უნდა ნახოს“, ასეთი იყო ფესტივალის ჟიურის შეფასება. ამ ბავშვებს კი წარმოადგენდნენ „იმედის სხივის“ პირველთაობელები. წარმატება თავისით არ მოდის. მაშინ ეს შედეგი და საერთაშორისო აღიარება დადგა ცენტრის ვოკალის პედაგოგის ქ-ნ ირმა ღილუაშვილის მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად.

კიდევ ერთი წარმატება, წარმოუდგენელი პატივი და დიდება ხვდა წილად „იმედის სხივს“ უკვე 2022 წლის გაზაფხულზე ისევ ბათუმის ხელოვნების ცენტრში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე. ბავშვები მაყურებლის წინაშე წარსდგნენ სიმღერით „საქართველოს იავნანა“. ოვაციებში მყოფი დარბაზი და ჟიურის წარმომადგენლები ფეხზე ადგომითა და აცრემლებული თვალებით დიდხანს და მხურვალედ უკრავდნენ ტაშს თერჯოლელელ „იმედის სხიველებს“, რომლებიც დაჯილდოვდნენ საერთაშორისო დიპლომებითა და მედლებით. და ისევ ქ-ნ ნაირას დავესესხები: „საკონცერტო დარბაზიდან გამოსულებს უამრავი უცნობი გულშემატკივარი გვილოცავდა, გვეფერებოდა და ჩვენთან ერთად სურათების გადაღებას ითხოვდა, ხოლო უცხოელები ხელებით გულებს გვიხატავდნენ და ჟესტების ენით გვესაუბრებოდნენ“.

არამარტო საერთაშორისო ფესტივალებში, „იმედის სხივის“ ბენეფიციარები აქტიურად მონაწილეობენ ასევე სხვადასხვა პროექტებსა თუ აქტივობებში როგორც ადგილობრივ, ასევე რესპუბლიკურ დონეზე, საიდანაც ყოველთვის პატივმიგებული და წარმატებულები ბრუნდებიან. „ჩვენი მიზანია თითოეულ ბენეფიციარში აღმოვაჩინოთ მისი ძლიერი მხარე, წარმოვაჩინოთ და მივცეთ შესაბამისი განვითარების უნარი. ამიტომაცაა, რომ ზოგი შესანიშნავად ხატავს,ზოგიც მუშაობს თექა-გობელინზე, ზოგს კი აქვს შესანიშნავი ვოკალური მონაცემები“. ამ უნარ-ჩვევების განვითარებითა და წინა პლანზე წამოწევით, რომელსაც თავისთავად შედეგებიც მოჰყვება ხოლმე, „იმედის სხივის“ კოლექტივი უზომო სიამოვნებასა და ბედნიერებას განიცდის.

და კიდევ ერთი: როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ჩვენი ვიზიტი აღნიშნულ ცენტრში 28 ივლისს შედგა. უკვე პირველი აგვისტოდან საშვებულებო პერიოდი და არდადეგები იწყებოდა, თუმცა, ცენტრმა გადაწყვიტა გაეთვალისწინებინა მშობლების თხოვნა და სასწავლო და სამუშაო პროცესი არ შეეწყვიტა, რისთვისაც თანაშრომლები რიგ-რიგობით გავიდოდნენ შვებულებაში მხოლოდ ხუთ-ხუთი სამუშაო დღით და ასე ერთმანეთს ჩაენაცვლებოდნენ. აი, ეს არის პირად ინტერესებზე მაღლა საქმის ინტერესების დაყენების საუკეთესო მაგალითი. მიგვაჩნია, რომ საზოგადოება უნდა იცნობდეს და მადლიერებას გამოხატავდეს ცენტრის თანამშრომლების მიმართ, რომელთაც აქვე სიამოვნებით წარმოგიდგენთ. ესენი არიან: ქალატონები: პედაგოგი თამარ უნდილაშვილი, ხელოვნების პედაგოგი ხათუნა გურული, რეაბილიტოლოგი ქ-ნი მარიამ აბულაძე, მზარეული ნუნუ კუბლაშვილი, ბუღალტერი ნინო ჭანკვეტაძე და მძღოლი ბატონი რამაზ ბუცხრიკიძე.

„იმედის სხივი“ ვაუჩერულ დაფინანსებას ღებულობს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროდან. და აქვე ხმამაღლა უნდა ითქვას: ქ-ნი ნაირა და ცენტრის თანამშრომლები მადლობას უხდიან თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას, თავად მერს ბ-ნ ლაშა გოგიაშვილს ცენტრის მიმართ გამოჩენილი თანადგომისა და მორალური და ფინანსური მხარდაჭერისათვის. „ბ-მა ლაშამ გვაგრძნობინა, რომ ჩვენც ამ მუნიციპალიტეტის შვილები ვართ“-ეს მათი გულიდან ამოსული სიტყვები და აღალი სამადლობელია. თერჯოლის ქალთა საბჭო დიდი სიამოვნებით უერთდება ცენტრის დირექტორისა და თანამშრომლების მადლობას და თავის მხრივაც, საქართველოს ქალთა საბჭოსთან ერთად უდიდეს მადლობას უხდის თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას და პირადად ბ-ნ ლაშა გოგიაშვილს ᲨᲨᲛ პირების მიმართ გამოჩენილი განსაკუთრებული მზრუნველობისათვის.

და ბოლოს, ვამთავრებთ ქ-ნი ნაირას სტყვებით: „ჩემი ცხოვრება საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა, ბევრი რთული წელიწადი გავიარე, მაგრამ მე არ მივეცი ჩემს თავს უფლება დავცემულიყავი. ჩემს უკან იდგა ჩემი ნანატრი ბიჭი, რომლის აღზრდასაც ათჯერ მეტი ძალისხმევა სჭირდებოდა, ვიდრე სხვებს. მიზნად კი არამარტო ჩემი შვილის, არამედ მასთან ერთად სხვა ბავშვების დახმარებაც დავისახე და მიზანს მივაღწიე. დავრწმუნდი, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი!“

თერჯოლის ქალთა საბჭო გამოხატავს უდიდეს პატივისცემას თერჯოლის ᲨᲨᲛ პირთა დღის ცენტრის მიმართ, მადლობას უხდის ცენტრის თითოეულ თანამშრომელს გაწეული თავდაუზოგავი და მუხლჩაუხრელი შრომისათვის. განსაკუთრებული მადლობა უკეთილშობილეს ქალბატონს, სიყვარულის მადლითა და ნიჭით დაჯილდოებულ, საქმისთვის თავდადებულ „დედობის ეტალონად“ წოდებულ ქ-ნ ნაირა ნიკოლაძეს. წარმატებები არ დაგლეოდეთ!

ᲔᲗᲔᲠᲘ ᲤᲣᲠᲐᲕᲐ,
თერჯოლის ქალთა
საბჭოს თავმჯდომარე

მუსიკოსი მუსიკოსების ოჯახიდან

5 ☞

კონცერტზე, რომელიც გაიმართა მსოფლიოში ცნობილი ჟიურისა და მოწვეული სტუმრების პატივსაცემად, ანსამბლებმა დიდი მოწონება დაიმსახურეს. „კასტელო მარე“ ნოემბერშიც უმასპინძლებს „იამეს“. მსმენელს ხიბლავს მრავალმხრივი რეპერტუარი, თითქმის ყველა ჟანრის სიმღერა—ფოლკლორული, ქალაქური, საესტრადო, სახუმარო, ძირითადად იმერული სიმღერები და შეიყვარა მაყურებელმა და მსმენელმა—ალექსანდრა გურაბანიძე, ვალია მინდიევი, ლალი ვერულაშვილი, ეთერ ივანიშვილი, ანა დევიძე...

1940-2022—„იმერეთი“ 82

ანსამბლი „იმერეთი“ 1940 წელს ჩამოყალიბდა სოფელ ჩხარში, მაშინდელ რაიონულ ცენტრში. სხვადასხვა დროს ანსამბლს ხელმძღვანელობდნენ: ნიკოლოზ ხვიტია, არჩილ ფალავანდიშვილი, გოგი ჩახუნაშვილი, იუზა კუბლაშვილი, ლეონიდ ფაჩულია, სერჟან სახელაშვილი...

2011 წლიდან ანსამბლს გულთამზე კუბლაშვილი ხელმძღვანელობს. ანსამბლი ადრე პერიოდში უფრო აკადემიურ სიმღერებს ასრულებდა, ახლა ძირითადად ხალხურ სიმღერებს ასრულებს... ქალბატონი გულთამზე აგროვებს უძველეს სიმღერებს, ამუშავებს და რეპერტუარში შეაქვთ. სწორედ ეს სიახლე, უძველესი, მივიწყებული სიმღერების „გაცოცხლება“ ხდის ანსამბლს წარმატებულს.

ანსამბლი ხშირად იღებს მონაწილეობას სარაიონო, რესპუბლიკურ დათვალიერებასა და ფესტივალებში, საქველმოქმედო კონცერტებში. კათარზისის ხაზით ასეთი კონცერტი ჩაატარეს ცაგერში და თიანეთში, ეროვნული ფოლკლორის ცენტრში ჩაწერილ დისკში, ანსამბლ იმერეთის რეპერტუარიდან შეტანილია იმერული სიმღერები. დღეისათვის „იმერეთის“ რეპერტუარში 80-მდე სხვადასხვა კუთხის, სხვადასხვა ჟანრის სიმღერაა, რომელსაც წარმატებით ასრულებს ხალხური სიმღერებისა და საგალობლების ფესტივალებზე და აქვთ „უთვალავი“ პრიზები, სიგელები, დიპლომები... აღიარება და სიყვარული სდევს მათ ყოველ სიმღერას...

გულთამზეს და მის ანსამბლებს იცნობს საქართველო! მიუყვებიან ამ ურთულეს გზას ანსამბლის წევრები მთელი მონდომებით, სიყვარულით, ერთგულებით, თითოეული რიტმის ფერებ-ფერებით და იმის ცოდნით, რომ ხალხური შემოქმედება ნამდვილი მარგალიტია, რო-

მელსაც შენახვა, გაფრთხილება და მოვლა-პატრონობა სჭირდება. ქალბატონი გულთამზე ამბობს, რომ ლაღი ბუნების თერჯოლა სიმღერის გარეშე ვერ გაძლებს, დრო ვერ აბერებს „იმერეთს“, მისი სიმღერის სიტკბო ერთბაშად იტაცებს და იპყრობს მსმენელის გულს და სრულიად საქართველოს—ანსამბლის წევრები: რამაზ, ვალერი, ამირან კუბლაშვილები, კოტე ბოჭორიშვილი, ავთანდილ მაკარიძე, რუბენ რობაქიძე, ბადრი კაპანაძე, გია ნიკოლაძე, ტარიელ რიჟამაძე, თამაზ ფანჩულიძე, ალიკა ჭანკვეტაძე, თამაზ ნემსაძე, რამაზ მემანიშვილი...

მუსიკალური ოჯახი დღეს...

ვაჟა კუბლაშვილის შვილები: რამაზი, კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორია, ვალერის, იამზეს, რომელთაც მუსიკალური განათლება აქვთ მიღებული, დიდი წვლილი უდევთ რაიონის მუსიკალური ცხოვრების განვითარებაში, თავის დროზე კუბლაშვილების ოჯახის სხვა წევრებსაც, ვაჟას ღირსეული მეუღლე—ქალბატონი ნაზი, მეღვინე-ტექნოლოგი, კარგად მღეროდა. რაოდენ საამაყოა, რომ ქუთაისში ცხრა მუსიკოსის ვარსკვლავია გახსნილი—ორი ჩვენია—მამა-შვილის აწ გარდაცვლილი ვაჟას ვარკვლავი და მისი შვილის, დიდი წარმატების და უკეთესი მომავლის მქონე რამაზის ვარსკვლავი. გულთამზეს მეუღლეს ვალერი ჭოლაძეს კარგად იცნობდა არამარტო თერჯოლა, არამედ ქვეყნის სხვადასხვა რაიონში და ქალაქებში მეგობრები, მუსიკის ხელოვნების მოყვარული ადამიანები, იგი 30 წლის განმავლობაში მუსიკალური სკოლის დირექტორი იყო და წარმატებული. გულთამზესა და ვალერის შვილი—გივი მუსიკოსია, დედის კვალს გაჰყვა, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქუთაისის ფილიალი აქვს დამთავრებული, რძალი ქეთევან კირკიტაძე პედაგოგია, შვილიშვილები დემეტრე და ანდრია ოჯახის სიამაყეა. ასეთი იყო და არის დღეს ღვანკითის ერთი მუსიკალური ოჯახი, საპატივცემულო, დასაფასებელი—მისი ერთ-ერთი წარმომადგენელი—გულთამზე კუბლაშვილი.

ᲟᲣᲟᲣᲜᲐ ᲪᲮᲐᲓᲐᲫᲔ

მოჭადრაკეებმა გვასახელეს

ქ. ზესტაფონში გაიმართა საჭადრაკო ტურნირი ყოფილი საჭადრაკო მოღვაწის, აწ გარდაცვლილი ჯემალ მახათაძის მემორიალი, სადაც წარმატებით იასპარეზეს თერჯოლის სპორტული სკოლის მოსწავლეებმა, 12 წლამდე გოგონათა შორის ხუთიდან ხუთი მოგებით დამსახურებული პირველი ადგილი დაიკავა მეექვსე კლასის მოსწავლემ ნინო წივწივაძემ (თერჯოლის №1 საჯარო სკოლა), რომელსაც გადაეცა პირველი ხარისხის დიპლომი, ოქროს მედალი, თასი და დებულებით გათვალისწინებული ფულადი ჰონორარი.

წარმატებული გამოსვლა ჰქონდა აბსოლუტურ ქალ მოჭადრაკეთა შორის მის დას ნატალია წივწივაძესაც (თერჯოლის №2 საჯარო სკოლის მერვე კლასის მოსწავლე), რომელმაც მესამე-მეოთხე ადგილი გაიყო თავისზე უფროს და გამოცდილ მოჭადრაკესთან ერთად.

აბსოლუტურ კატეგორიაში ხუთ საუკეთესოთა შორის მოხვდა ლიზი ჩუბინიძე (თერჯოლის №1 საჯარო სკოლა), რაც უდავოდ კარგი შედეგია.

ვულოცავთ და ახალ გამარჯვებებს ვუსურვებთ მოსწავლე მოჭადრაკეებსა და მათ მწვრთნელს გია ჭუმბურიძეს.

სასოფლო-სამეურნეო წელი მიწურულს უახლოვდება

ამ დროისათვის თერჯოლელებს სიმინდის მოსავალი უკვე მინახული გვაქვს. რთველიანობაც დასრულდა. და... მომავალზე ფიქრის დროც დადგა!

იმერეთში (და ჩვენს თერჯოლაშიც) სამწუხაროდ ნაკლებად ტრადიციულია ხეხილის სხვადასხვა მინერალური თუ ორგანული სასუქებით გამოკვება. სასურველი კია ჩვენთანაც დავამკვიდროთ ის, რაც მეტ სარგებელს მოგვიტანს: ხეებს ძირებში შემოვუბაროთ და ორი-სამი ვედრო გადამწვარი ნაკელიც დავუმატოთ.

მოზამთრე მავნებლების გასანადგურებლად ვეგეტაციის დაწყებამდე მცენარეს შევასხუროთ სპეციალისტების მიერ რეკომენდებული ქიმიური ხსნარი.

შეწამვლა უნდა მოვახდინოთ 2-3 წელიწადში ერთხელ მაინც.

ველური ვაზი კრიკინა...

არსად, არც შუა მდინარეთსა და არც ნილოსის ველზე არასდროს ხარობდა ველური ვაზი. მაშინ, როცა ჩვენს დალოცვილ მიწაზე უხსოვარი დროიდან ხარობს ველური ვაზი—კრიკინა. ასევე ველური ვაზის სხვადასხვა სახეობა.

კარგი ღვინო გვინდა რომ დაგვიდგეს?

თერჯოლელებს ეს არ გვესწავლება, მაინც... გადავიმეოროთ, რადგანაც „გამეორება ცოდნის დედაა!“

ყურძენს საწნახელში დაზიანებული მტევნები არ უნდა შევაყოლოთ.

ახალდაწურული ტკბილი რამდენიმე დღის შემდეგ დუღილს დაიწყებს და ჭაჭა ზემოთ ამოიწევს. დილა-საღამოს მასაც უნდა ამოვურიოთ... რაც ხშირად ამოვურევთ, მით უკეთესი...

დაწურვიდან ათიოდე დღის შემდეგ მაჭარი დუღილს შეანელებს, რის შემდეგაც ღვინო უნდა გადავიღოთ, ანუ ჭაჭას მოვაცილოთ...

წლის განმავლობაში ღვინოს რაც მეტჯერ გადავიღებთ, მით უფრო ხარისხს შეძენთ.

როგორც ჩვენი მეღვინე-მეზვრეები იტყვიან—ღვინოს ბავშვივით მოვლა-მოფერება სჭირდება...

და, ბოლოს—რთველი ღიმილის გარეშე არ არსებობს.

თერჯოლაში ბევრი მევენახე ყურძნის კრეფას მანამ არ დაიწყებს, სანამ მტევნები ცვრისაგან კარგად არ გაშრება...

ახსნა მარტივია—ღვინოში წყალს არაფერი უნდა ესაქმებოდეს!..

ნ. იმერლიშვილი

ცოფთან ბრძოლის დღეს მიეძღვნა

მიმდინარე წლის 28 სექტემბერს აღინიშნა ცოფთან ბრძოლის საერთაშორისო დღე.

ეს ინტერვიუ, რომელიც ამ თემაზე ჩვენ სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონალური სამმართველოს უფროს ინსპექტორ რუსუდან გოგიაშვილს ვთხოვეთ სწორედ იმ დროისათვის შედგა.

—ქალბატონო რუსუდან, დაავადებები უამრავია, მაგრამ ისეთები, მასთან ბრძოლის დღეები რომ იყოს დაწესებული ერთეულები. ასეთებშია

ცოფის დაავადება. რითაა განპირობებული ყველასათვის ყურადსაღები ეს რეალობა?

—ცოფი მეტად საშიში და ვერაგი დაავადებაა. ვნახოთ როგორაა იგი განმარტებული სპეციალურ გზამკვლევში: ცოფი, ანუ ჰიდროფობია (ლათ. nabies-სიგიჟე) მწვავე ინფექციური ინფექციაა, რომელიც მიმდინარეობს ცენტრალური ნერვული სისტემის მძიმე, აღუდგენელი დაზიანებით და როგორც წესი სიკვდილით მთავრდება. მისი თავიდან აცილების ერთადერთი გზა ანტირაბიული (ცოფის საწინააღმდეგო) აცრების დროული და კვალიფიციური ჩატარებაა.

ცოფის ინფექციას იწვევს ნეიროტროპული ვირუსი, რომელიც აზიანებს მასპინძელი ორგანიზმის ნერვულ ცენტრებს და თავის ტვინის ქერქს. ამიტომ დაწესებული დღე ცოფთან ბრძოლის განსაკუთრებული დღეა, უამრავი ღონისძიება ტარდება დაავადების პროფილაქტიკისათვის და თავისთავად ცხადია იგი ყველამ უნდა გავითავისოთ.

—როგორ უნდა დაიცვას თავი ადამიანმა, რომ ეს დაავადება არ შეხვდეს და როდის უნდა მიმართოს ექიმს?

—ცოფის მატარებლები არიან მღრღნელები, მათ შორის ვირთხები. ცოფი შეიძლება გავრცელდეს მაწანწალა ძაღლების მეშვეობით. თავის დაცვა ისაა, რომ ვიყოთ ფრთხილად და ვირთხის მიერ დაკბენის ან დაკაწვრის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მივმართოთ ექიმს. ასევე უნდა მოვიქცეთ ძაღლების ან კატების დაკბენა-დაკაწვრის შემთხვევაში. ვისაც ჰყავს ისინი ოჯახში უნდა მიაქციოს ყურადღება ხომ არ ავლენს თითოეული ცოფის დაავადების მახასიათებლებს. მაგ. ასეთ დროს ძაღლი სუსტადაა, მოწყენილია, არ ჭამს, აქვს შიშები და ცდილობს დამალვას. დაავადების გართულების შემთხვევაში იგი აგრესიული ხდება და იწევს ადამიანზე ან სხვა ცხოველზე. ასეთის შემთხვევაში მყისიერად უნდა ჩავაყენოთ საქმის კურსში ვეტერინარი ექიმი.

—რა მდგომარეობაა მუნიციპალიტეტში ცოფის დაავადების გავრცელებასა და პრევენციის თვალსაზრისით?

—ბოლო შემთხვევა თერჯოლის მუნიციპალიტეტში ცოფით დაავადებისა იყო 2015 წელს, ისიც მხოლოდ პირუტყვში. მას შემდეგ ასეთს ადგილი არ ჰქონია, რაც იმითაცაა განპირობებული, რომ ყოველთვის დროულად და გრაფიკის მიხედვით ტარდება ცხოველებში ცოფის პროფილაქტიკური ვაქცინაცია. საამისოდ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული გვყავს 7 შტატგარეშე ვეტერინარი სპეციალისტი. თითოეული მათგანი საკმაოდ გამოცდილია და დიდი პასუხისმგებლობითაც ეკიდება საქმეს.

გასულ წელს ვაქცინაცია ჩაუტარდა 11000-მდე ძაღლსა და კატას. წელს უკვე 10000-მდე ვართ მისული. წლის ბოლომდე სრულად მოვიცავთ რაიონს.

ჩვენი თხოვნაა მოსახლეობისადმი შეგვიწყონ ხელი ვაქცინაციის ორგანიზებულად ჩატარებაში. არა მარტო უბნებში ვეტერინართა მისვლის დროს, არამედ ყოველთვის იყვნენ დაინტერესებული არ დარჩეს მათი პირუტყვი აუცრელი.

ი. ერაძე

გარდაიცვალა მხატვარ-აკვარელისტი ნუგზარ ქოჩიაშვილი



87 წლის ასაკში აღესრულა ცნობილი ხელოვანი, ჩვენი მკვიდრი, ნათელი პიროვნება ნუგზარ ქოჩიაშვილი...

იგი 1935 წელს დაიბადა სოფ. სიქთარვაში. ბავშვობიდანვე ხატავდა. ხატავდა და მერე როგორ... უწინასწარმეტყველებდნენ, რომ ცნობილი მხატვარი გამოვიდოდა.

აგიხდათ ყოველი კაი, მაგრამ თავიდან დავიწყოთ:

დაწყებითი განათლება მშობლიურ სოფელშივე მიიღო. შემდეგ იყო, თერჯოლა. ბოლოს დედაქალაქი. იქ გახდა პროფესიონალი მხატვარი. გზას უკვალავდა ნიჭიერება და შრომისმოყვარეობა. მისი პალიტრა იყო გამორჩეული. სპეციალისტები მიიჩნევდნენ, რომ საქართველოს აკვარელისტ-მხატვართა შორის მას ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეკავა.

ხელოვანის მრავალი ნამუშევარი ინახება ოჯახში. აქ მოდიან მხატვრობის მოყვარულნი, კრძალვით ჩერდებიან თითოეულ ნამუშევართან...

ნუგზარ ქოჩიაშვილის გარდაცვალება დიდი ტკივილით აღიქვეს მშობლიურმა სოფელმა, მუნიციპალიტეტმა, რა თქმა უნდა დედაქალაქელმა კოლეგებმა.

ბატონი ნუგზარი ჩუმად, ყოველგვარი თვითრეკლამის გარეშე ქმნიდა იმას, რასაც მშვენიერება ჰქვია. გაურბოდა ხმაურს, მისთვის მთავარი იყო რეალურად დაეხატა ყოველი, რაც ესთეტიკურ სიამოვნებას მიანიჭებდა მნახველს და... ბედნიერი იყო. თავის ნამუშევრებს არ ჰყიდდა, ენანებოდა შედეგრების გასხვისება.

ახალგაზრდობიდანვე დაიწყო პედაგოგიური საქმიანობა. გარკვეულ ხანს ფერწერის ხელოვნებას დიდი რუდუნებით ასწავლიდა ნიჭიერ და ხატვისმოყვარულ ბავშვებს სვანეთში, ქუთაისში, მშობლიურ თერჯოლაში... მისი პალიტრა იყო მრავალფეროვანი და შთამბეჭდავი.

ნუგზარ ქოჩიაშვილის ნამუშევრების გამოფენები პერიოდულად ეწყობოდა საქართველოს სხვადახვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, რა თქმა უნდა-თერჯოლაში. მნახველთა შთაბეჭდილებების წიგნებში დატოვებული ჩანაწერები დაწვრილებით მოგვითხრობენ იმ სიამოვნებათა შესახებ, რომელთაც ყოველი ნახატი ანიჭებდათ მათ.

დღეს ნუგზარ ქოჩიაშვილი აღარ არის. გვენანება. თავისი, ოდნავ შეფარული სევდიანი თვალებით ვეღარ გაუღებს კარებს მისი ხელოვნების თაყვანისმცემლებს.

გულითადად ვუსამძიმრებთ დიდ მწუხარებას ოჯახს, საახლობლოს, კოლეგებს.

ნათელი ეფინოს მისგან დატოვებულ მშვენიერი ხელოვნების კოლექციას, მის ეზო-კარს, რომელსაც აგრე გულმოდგინეთ და რუდუნებით უვლიდა...

ზენაარი თავის ლოცვა-კურთხევას არ მოაკლებს მართალი კაცისა და ნიჭიერი ხელოვანის სულს მარადიულ საუფლოში.

გაზეთი „თერჯოლა“

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

1. ცოლიკაური. 2. საწნახელი. 3. ღვინო. 4. არაყი. 5. წიფობისთვე. 6. ვაზიანი. 7. რთველი. 8. ფელამუში. 9. ციცქა. 10. სარცხი. 11. ნავენახევი. 12. ორშიმო. 13. ბადაგი. 14. ხარება. 15. ჩამიჩი. 16. ჩურჩხელა. 17. მამული. 18. ოროველა. 19. თათარა. 20. მერიქიფე. 21. ხვანჭკარა. 22. თერჯოლა. 23. ღელებოძელა. 24. ლიქიორი. 25. ბარაქა. 26. ვაზი.

ზედა ალისუბნის საბავშვო ბაღის კოლექტივი, თანაგრძნობას უცხადებს ბაღის დირექტორს, ქალბატონ ნატო აბულაძეს, მამის

ჯემალ აბულაძის

გარდაცვალების გამო. უფალმა დაუმკვიდროს სასუფეველი.

ზედა ალისუბნის საბავშვო ბაღის დირექტორი და კოლექტივი სამძიმარს უცხადებენ ბაღის თანამშრომელს ეთერ კორსანტიას მაზლის

თამაზ ბუცხრიკიძის

გარდაცვალების გამო. უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

არგვეთელი მოწამე ძმების სახელობის ტაძარში...

საქართველოში ხელის თითებზეა ჩამოსათვლელი ტაძრები, რომლებიც სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის თავდადებული არგვეთელი მთავრების, ძმების დავით და კონსტანტინე მხეიძეების სახელზეა აგებული. ამ ტაძართა შორის, მოწამე ძმების სახელობის სოფელ მოწამეთას ტაძრის შემდეგ, მეორეა სოფელ ბარდუბნის ტაძარი, რომლის აგება მე-19 საუკუნის ბოლოს დაწყებულა და 1901 წელს, მოწამე ძმების ხსენების დღეს, 15 ოქტომბერს უკურთხებიათ.

წელს, მოწამეთობა დღეს, ამ ტაძრის კურთხევიდან 121 წელი შესრულდა... იმ დღეს ტაძარსა და მის მრევლს სასულიერო პირებებთან ერთად პირადად ეწვია თერჯოლა-ტყიბულის ეპარქიის წინამძღოლი მეუფე გიორგი (შალამბერიძე), რომელმაც მამაო ამირანთან და სხვა სასულიერო პირებთან ერთად საზეიმო წირვა აღავლინა.

ბარდუბნის დავით და კონსტანტინე მხეიძეების სახელობის დღევანდელი ტაძრის ადგილას 1868 მცირე ზომის ხის ეკლესია მდგარა. სოფლის მკვიდრთა გადმოცემით ხის ეკლესიაც მოწამეთა სახელზე ყოფილა ნაკურთხი. ტაძრის პირველი წინამძღვარი ბესარიონ მარკოზის ძე (გიორგაძე) ყოფილა 1862-1876 წწ. რადგანაც ხის ეკლესია მცირე ზომის ყოფილა

სოფლის მოსახლეობას გადაუწყვეტია, რომ აეშენებინათ ქვითკირის დიდი ზომის ერთნავიანი ბაზილიკა, რისთვისაც მშენებლები სოფელ ცუცხვათიდან მოუწვევიათ, ძმები ბერეკაშვილები. ხოლო სამშენებლო ქვას კი სოფელ ძევრიდან ეზიდებოდნენ. ტაძარს ოთხი წლის განმავლობაში აშენებდნენ სოფლის მკვიდრნი და მოწვეული ოსტატები. 1901 წ. იმერეთის ეპისკოპოსს ლეონიდეს, (ოქროპირიძეს) შემდგომ საქართველოს პატრიარქს, უკურთხებია კვლავ არგვეთის მთავრების წმ. დავით და კონსტანტინე მხეიძეების სახელზე. მის პირველ წინამძღვრად დაუნიშნავთ მამა დარისპან ბარათაშვილი, რომლის დიდი შემწეობით განსრულებულა ტაძრის აღმშენებლობა. ტაძარში შემონახულია 121 წ. ხის კანკელი, რომელიც

გაწყობილია რუსული ხატებით, ტყავის გარდამოხსნა და ფიცარზე შესრულებული ღვთისმშობლის მიძინების ულამაზესი ხატი, ასევე ტაძრის დასავლეთ ფასადზე იყო შემორჩენილი ეპიტაფიური წარწერა „ეს ეკლესია აშენდა 1901 წელს“, რაც ჟამთასვლამ ჩამორეცხა. ხის კანკელი, რომელიც ძალიან დიდ ყურადღებას იქცევს მნახველებისას, გამშვენებულია ხატებით, რომელიც კომპოზიციურადაა გაწყობილი. აღსავლის კარში ჩაბრძანებულია ღვთისმშობლის ხარების სცენა და ოთხი მახარებელი. მარჯვნივ პირველ იარუსზე გაწყობილია მაცხოვრის მთავარანგელოზ გაბრიელის და არგვეთის მთავრების წმ. დავით და კონსტანტინეს ხატები. მარცხენა პირველ იარუსზე ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის, მთავარდიაკონ სტეფანეს და წმ. ქართველთგანმანათლებლის ნინოს. აღსავლის კარის თავზე მეორე იარუსზე განლაგებულია თორმეტი საუფლო დღესასწაულის ხატები, რომლებიდანაც დაკარგულია უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს დიდებით შესვლა იერუსალიმშის (ბზობის) ხატი. კომუნისტების პერიოდში ტაძარი არაერთხელ გაუძარცვავთ და ერთ-ერთი ძარცვის დროს დაკარგულა ეს ხატი სხვა ძვირფას ნივთებთან ერთად (საწინამძღურო ჯვარი, ვერცხლის ბარძიმ-ფეშხუმი). კანკელის მესამე იარუსში მოთავსებულია სერობის მარჯვნივ წმ. ქეთევან დედოფლის და წმ. თამარ მეფის ხატები. მარცხნივ კი წმ. ანდრია მოციქულის და წმ. დავით აღმაშენებლის ხატები.

ტაძარი გახსნის დღიდან მოქმედია. იქ მოღვაწე სასულიერო პირები და სოფლის მოსახლეობა მედგრად იდგა, რათა არ დაეხურათ კომუნისტებს ტაძარი. სოფლის მკვიდრთა გადმოცემით მამა დავით გიორგაძეს, რომელიც ტაძრის ეზოში განისვენებს, დიდი შრომა ჩაუდია, რათა არ გაეპარტახებიათ ეკლესია. იხდიდა ეკლესიაზე დაკისრებულ ბეგარას და მაინც იმ რთული ეპოქის დროს ეკლესია არ დაკეტილა. იქ მოღვაწე სასულიერო პირები აღასრულებდნენ წირვა-ლოცვას, ნათლობის საიდუმლოს და სხვა საეკლესიო წესებს. ტაძრის წინამძღვრები სხვა და სხვა დროს ყოფილან. პირველი წინამძღვარი დარისპან დიმიტრის ძე ბარათაშვილი იყო, რომელმაც სასულიერო განათლება კაცხის მონასტერში მიუღია, მამა დარისპანის შემდეგ მის შვილს მამა დანიელ ბარათაშვილს გაუგრძელებია მოღვაწეობა. მის შემდეგ ყოფილა გელათის აკადემიის კურსდამთავრებული მიხეილ გიორგაძე, ასევე წმინდა დავით და კონსტანტინე მხეიძეების სახელობის ტაძარში უმოღვაწიათ მეთოდე უკლებას, იპოლიტე უკლებას, დავით გიორგაძეს, რომლის განსასვენებელიც ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზეა, ერმილე კუხიანიძეს, ვლადიმირ ჩაგანავას, ზურაბ აბჟანდაძეს, თემურ ზაქარიაშვილს. ვახტანგ მინაძეს (დღესაც აგრძელებს მოღვაწეობას მცხეთა-თბილისის ეპარქიაში), ამბროსი დათოშვილს, გურამ მექოშვილს, ალბერტი ლურსმანაშვილს, გიორგი ბასილაძეს, ილია საცერაძეს. დღეს კი ტაძრის წინამძღვარი გახლავთ დეკანოზი ამირან ქარქაშაძე, რომელიც ორიათეულ წელზე მეტია მსახურობს წმ. დავით და კონსტანტინე მხეიძეების სახელობის ტაძარში.

ბაჩი ბარდაველიძე,
გელათის სასულიერო
აკადემიის სტუდენტი

P.S. იმ დღეს მეუფე გიორგისთან და მამაო ამირანთან გაჟღერდა მოწამეთობის ანუ 15 ოქტომბრის სოფლის დღის დაწესების თაობაზე, რაც სასურველ და მისაღებ ინიციატივად იქნა მიღებული.

ნათლობა—ახალი აღთქმის საიდუმლო

ანა ცხადაძე 2017 წელს დაიბადა, 2022 წლის 5 ნოემბერს კი ნათლობით—ხელახლა დაიბადა და შევიდა ქრისტიანულ სამყაროში, შესრულდა ახალი აღთქმის შვიდი საიდუმლოდან ერთ-ერთი, ყველაზე წინ მდგომი აღქმათა შორის, ვინაიდან ის ადამიანისათვის წარმოადგენს ერთგვარ კარს ეკლესიაში შესასვლელად. მაცხოვრის თქმით „უკეთუ ვინმე არ იშვას წყლისაგან და სულისა, ვერ ხელეწიფების შესვლად სასუფეველსა ღმრთისასა“ (იოანე 3.5) და მიეცა ანას ახალი სული, ახალი გული.

ნათლობის აუცილებლობა დადგენილია ღვთისნებით, თვით მაცხოვარი ჩვენი, იესო ქრისტე მოინათლა მდინარე იორდანიაში იოანე ნათლისმცემლის მიერ. ამის შემდეგ ნათლობას ახდენდნენ მოციქულები, მოციქულების შემდეგ ეკლესია ასრულებს მაცხოვრის მიერ განმტკიცებულ ამ საიდუმლოს.

ეკლესიამ შეასრულა ნათლობის საიდუმლო. ღვანკითის ძველი სამების სახელობის ეკლესიის მოძღვარმა მამა ანდრიამ (ყიფიანი) პატარა ანას გაუღო ეკლესიის კარები, რითაც ანა გახდა მართლმადიდებელი ქრისტიანი და მიეცა საშუალება მომავალში შეაღოს სხვა საიდუმლოთა შესასვლელი კარები.

როგორც ახალდაბადებულ ადამიანს სჭირდება ჰაერი, სინათლე, სითბო, სხვა მრავალი გარეგანი საშუალება გაზრდისა და განვითარებისათვის, ასევე ესაჭიროება მას თავისი სულიერი ცხოვრებისათვის კეთილისმყოფელი ძალები.

ანა ჯერ მხოლოდ 5 წლისაა, სრულად ვერ გააცნობიერებს მომხდარს, ნათლობის უდიდეს მნიშვნელობას, გარკვეულ პერიოდში მას დაეხმარებიან მშობლები: ია და დავით ცხადაძეები, ნათლიები: ნინო ჭურაძე, ნონა ბუიღლიშვილი, ამირან უკლება, ზურაბ ხეცაძე, სხვა ახლობლები. ამასობაში გაიზრდება, ხანგრძლივი ცხოვრების მთელ მანძილზე, რომელიც უფლის ნებით, მისივე დათქმით, იქნება 120 წელი, ბევრს ისწავლის, იშრომებს, იფიქრებს საკუთარ და გარშემომყოფთა კეთილდღეობაზე, პირველ რიგში კი იფიქრებს სულიერ ღირებულებებზე, აღიზრდება მასში შრომის სიყვარული, სხვისი დახმარების სურვილი, მოთხოვნებსა და შესაძლებლობებს შორის წონასწორობის დაცვის უნარი...

სურვილები, რომელიც დაანათლეს

უყვარდეს ღმერთი, სამშობლო, ოჯახი, ადამიანები. მიეცეს ნიჭი სიყვარულისა, რადგან, სადაც სიყვარულია, იქ არის ღმერთი. ეპოვოს საყვარელი საქმიანობა. იცოდეს შრომის ფასი, მისი როლი. გააცნობიეროს, რომ შრომა აქცევს სულელს ჭკვიანად, ჭკვიანს ბრწყინვალედ, ბრწყინვალეს შეუპოვრად, ყმაწვილთათვის მას მოაქვს იმედი, ზრდასრულებისთვის დაჯერებულობა, ხნიერისათვის დასვენება.

ყველამ კეთილდღეობა, დღეგრძელობა უსურვა, მოძღვარმა კი მშვიდობა, მშვიდობა ღმერთთან, საკუთარ თავთან, მოყვასთან. „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა და ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ (ლუკა 2.14). უსურვა ღვთის შეწევნა, რომ ანას გულში აღიბეჭდოს ქრისტე, რომლის ნებით იქნება იგი ღირსეული ადამიანი, მოემადლება ჯანმრთელობა, კეთილდღეობა, სიცოცხლე...

ჟუჟუნა ცხადაძე

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** 599 92 49 75

მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** 599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@mail.ru**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872